# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 26 დეკემბერი, 2012 წელი.

№248 (7124)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## როგორც ჩანს, პრეზიდენტი ვერ აცნობიერებს, რომ მისი მატარებელი ჩიხში შევიდა ③



## საკუთარი „ურბანიზმის კოდი“ გვჭირდება ⑪



## როგორ „კეთდებოდა“ ფული,

ანუ ნიკოლაიშვილ-რურუების შეხმატკბილებული ტანდემი - ბიუჯეტის ხარჯზე ③

## არის კი ივანიშვილი იმდენადვე არადემოკრატი, რამდენადაც მისი წინამორბედი იყო? ⑧




## კომპანია, რომელსაც ქვეყნისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ⑥⑦



## პირველი ნაბიჯი ქართულმა მხარემ უნდა გადადგას... ⑤

ევრაზიის ინსტიტუტის მრგვალი მაგიდა ნატოსადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ღვთისმშობელმა გადააფაროს კალთა საქართველოს და ვერავითარი მტერი ვერ დაამარცხებს მას



**ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გადააფაროს კალთა საქართველოს და ვერავითარი მტერი ვერ დაამარცხებს მას, — ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის ტაძარში ქადაგებისას ბრძანა.**

**უწმინდესის ქადაგებამდე ტაძარში საღმრთო ლიტურგია შესრულდა, რომლის შემდეგ უწმინდესს აღსაყდრების 35 წლისთავთან დაკავშირებით წმინდა სინოდის უმაღლესი ჯილდო, წმინდა გიორგის ოქროს ორდენი გადაეცა.**

ორდენი პატრიარქს მეუფე იოანე გამრეკელმა გადასცა. მან პატრიარქის ღვაწლზე, პიროვნულ თვისებებზე ისაუბრა და შეაჯამა მისი მოღვაწეობა. მეუფემ აღნიშნა, რომ პატრიარქის დამსახურებაა საქართველოში უამრავი ტაძრის აღდგენა და განახლება.

უწმინდესს მეუფე კალისტრატემაც მიმართა და საჩუქრად 115 ვარდი გადასცა იმის სიმბოლოდ, რომ დღეს ილია მეორის აღსაყდრებიდან ოცდათხუთმეტი 4 იანვარს კი, მისი დაბადებიდან 80 წელი სრულდება.

ამის შემდეგ პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა. უწმინდესმა მადლობა გადაუხადა უფალს, რომ 35 წელი შეაძლებინა მძიმე ჯვრის ტარება. უწმინდესმა ბრძანა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში სულიწმინდა მასთან და საქართველოსთან იყო.

ამასთან, უწმინდესმა მიმართა ტაძარში მყოფ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს. პატრიარქმა ბრძანა, რომ მათ დიდი დამსახურება აქვთ ერის წინაშე და დალოცა ისინი. ილია მეორემ პრეზიდენტსა და პრემიერს უსურვა, რომ მათთან ღვთის წყალობა სუფევდეს და აკეთებდნენ საქმეს, რომელიც სათნოა ღვთისათვის.

— საქართველოს დაღუპვა არ უწერია. საქართველო გაბრწყინდება. საქართველო არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გადააფაროს კალთა საქართველოს და ვერავითარი მტერი ვერ დაამარცხებს მას, — ბრძანა უწმინდესმა ქადაგების დასასრულს.

**ინტერპრესნიუსი**

## კანონმდებლები

# „ნაციები" კიდევ ერთმა დეპუტატმა დატოვა

**საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა" ქედის მაჟორიტარმა იაშა შერვაშიძემ დატოვა. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის" გახდა ცნობილი , შესაბამისი განაცხადით დეპუტატმა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს უკვე მიმართა.**

გასულ კვირას „ნაციონალური მოძრაობა" დატოვა ამბროლაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოჩა ენუქიძემ. ამასთან, როგორც იაშა შერვაშიძე, ისე გოჩა ენუქიძე წინა მოწვევის პარლამენტშიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", მაშინდელი უმრავლესობის წარმომადგენლები იყვნენ.

არსებული ინფორმაციით, გოჩა ენუქიძეს პარლამენტში საკუთარი ფრაქციის შექმნა სურს. ახალი ფრაქციის კონტექსტში ვრცელდება ინფორმაცია, რომ უმცირესობა შესაძლოა, დატოვონ დეპუტატებმა ანზორ ბოლქვაძემ, გიორგი ფეიქრიშვილმა, გურამ მისაბიშვილმა და ნაული ჯანაშიამ.

## სოციუმი

# მიწაზე დაგებულ ლეიბებზე მწოლიარენი, ანუ თბილისელი უსახლკაროების ტრაგედია

**შარშან რამდენიმე უსახლკარო ადამიანი, რომელიც ღამეებს ქუჩაში ათევდა, ყინვისგან გაიყინა და დაიღუპა. ბევრ მათგანს კიდურები მოეყინა, რის გამოც მათი ამპუტაცია გახდა საჭირო. წელსაც იგივე ბედი ელოდათ უსახლკაროებს, რომ არა ალექსანდრეს ბაღში მათ დასახმარებლად გაშლილი ვეებერთელა კარავი, რომელიც სამოქალაქო აქტივისტების ინიციატივით დაიდგა. 20 დეკემბრის ღამე კარავში სამმა უსახლკარომ გაათენა, 21 დეკემბერს მათი რიცხვი უკვე რვამდე ავიდა, მომდევნო დღეებში კი უფრო მეტ ნაკადს ელოდებიან. უკვე ცნობილია, რომ კარავში მაქსიმუმ, 15-17 ადამიანი დაეტევა. თუ უსახლკაროთა რიცხვი იმატებს, შესაძლოა, მათთვის მეორე კარავიც გაიშალოს.**

უსახლკაროებისთვის თბილისელებს საჭმელთან ერთად ტანსაცმელი და შეშა მიაქვთ, რადგან კარავში შეშის ღუმელი დაიდგა.

„ერთად დავეხმაროთ უსახლკაროებს", — ამ აქციის ფარგლებში, აქტივისტები მთელ ქალაქში დადიან და სავარაუდო ადგილებში ეძებენ ყინვისგან გათოშილ ადამიანებს.



ყველაზე მძიმე ის არის, რომ ამ კარავში ეტლს მიჯაჭვული უსინათლო მოხუცი ათევს ღამეს, ცხინვალიდან დევნილი ზაურ ხადური. აქამდე იგი ღამეებს მეტროსადგურში ათევდა. უსახლკარო მამაკაცებს შორის ერთი მანდილოსანია, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად შეეკედლა ამ კარავს.

For.ge უსახლკაროთა დახმარების საინიციატივო ჯგუფის ორგანიზატორს ნათია ხაინდრავას ესაუბრა.

**„უსახლკაროების ზუსტი რაოდენობა ჩემთვის უცნობია, თუმცა ასეთი ადამიანები არსებობენ, ვხვდებით ქუჩებში, რადგან მათ ღამის გათენება ღია ცის ქვეშ, სიცივეში უწევთ. ზოგიერთს შეიძლება, ჭერიც ჰქონდეს, თუმცა ვერ ათბობს სახლს და საშინელ პირობებში ცხოვრობს. ზოგს ოჯახი ჰყავს, მაგრამ სახლიდან გამოაგდეს, ზოგის შვილმა ტოტალიზატორში ბინა წააგო და შემდეგ ქუჩაში აღმოჩნდა, ზოგს საბანკო ვალების გამო გაუყიდეს ბინა, ზოგსაც ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები აქვს... სანამ ქუჩაში მოხვდებოდნენ, ყველა მათგანს ინდივიდუალური ტრაგედია აქვს გადატანილი",** — ამბობს ნათია ხაინდრავა.

მისი თქმით, ამას ემატება ქუჩაში გაზრდილი თაობაც. თავის დროზე ამ ბავშვებისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. შესაბამისად, ის ბავშვებიც იზრდებიან, აჩენენ შვილებს და უსახლკაროთა რიცხვს მათი არცთუ მცირე ნაკადიც ემატება.

ამის მიუხედავად, საინიციატივო ჯგუფის ორგანიზატორი აცხადებს, რომ, მართალია, უსახლკაროები მრავლად არიან, მაგრამ ამ ადამიანების რიცხვი არც ისე კოლოსალურია, რომ მათ ვერ მოვუაროთ და არ ჰქონდეთ გამოსაძინებელი ადგილი. კონკრეტულად კი, ამ ადამიანებს დასუფთავება და ბანაობა სურთ და ესეც ვერ მოუხერხებიათ. მისივე თქმით, პრობლემის მოგვარების უფრო გლობალური სტრატეგიაც არსებობს, რაც სოციალურ საცხოვრებლებში ამ ადამიანების შეყვანას გულისხმობს. მთავარია, მთავრობამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამისთვის ზრუნვა დაიწყოს.

**„ეს კარავი მათთვის დროებითია. მე მინდა, კარავი მალე ავიღოთ, რადგან კარავი არ არის გამოსავალი. ეს ხალხი საცხოვრებლებში უნდა გადავიყვანოთ და დავეხმაროთ. არ ვიცი, გაიხსნება თუ არა მათთვის თავშესაფარი ან დროებითი გამოსაძინებელი ადგილები, მით უმეტეს, ზამთარია და ეს ადამიანები ქუჩაში იყინებიან. მოვიარეთ ადგილები, სადაც ვიცოდით, რომ იკრიბებიან უსახლკაროები და ღამეს ათევენ, ვუთხარით, რომ სხვებისთვისაც გადაეცათ ალექსანდროვის ბაღში არსებული კარვის შესახებ",** — აცხადებს ნათია ხაინდრავა.

მისივე ინფორმაციით, მათთვის დახმარება აქამდე არავის შეუთავაზებია. თუმცა, კარვის გაშლისას მას დაუკავშირდა მერიის სოციალური სამსახურის უფროსის მოადგილე და უთხრა, რომ ასე სწრაფ აციებას არ ელოდნენ. ამჯერად კი, ამ პრობლემის მოსაგვარებლად გეგმას შეიმუშავებენ. გარდა ამისა, მათთან მივიდა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე და დაჰპირდა, რომ კარავში მცხოვრებ ორ დევნილს 15 იანვრის შემდეგ გადაიყვანდნენ და გორში საცხოვრებელს მისცემდნენ.

უსახლკაროთა დახმარების საინიციატივო ჯგუფის ორგანიზატორს ისიც ახსენდება, რომ ყინვისგან გამოწვეული შარშანდელი მსხვერპლის შემდეგ მერიამ დროებით გახსნა რამდენიმე თავშესაფარი, თუმცა, ახლა, ეს თავშესაფრები არ მუშაობს.

**„რა თქმა უნდა, ინვალიდისთვის კარავში ცხოვრება რთულია, მაგრამ აქამდე ის ქუჩაში ცხოვრობდა და, ალბათ, ღია ცის ქვეშ ყოფნას კარავში ურჩევნია, მიუხედავად იმისა, რომ კარავში მინიმალურზე მინიმალური პირობებია. ასევეა, მოხუცი ცოლ-ქმარი. რომ არა კეთილი ადამიანების დახმარება, რომლებიც შეშას ყიდულობენ, ეს ადამიანები კარავშიც გაიყინებოდნენ, ისინი მიწაზე დაგებულ ლეიბებზე წვანან,"** — აცხადებს ნათია ხაინდრავა.

**მარიამ ლოლაშვილი**

## ინფორმაცია

### მერაბიშვილს ისევ დაკითხავენ

**საგადასახადო შეთანხმების მიზნით დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და დოკუმენტაციის გაყალბების საკითხზე, ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილიც დაიკითხება. ამის შესახებ ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა.**

მისივე განმარტებით, გავრცელებული აუდიოჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მერაბიშვილი საქმის შესახებ ინფორმირებულია.

რაც შეეხება აღნიშნულ საქმესთან გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერებს, კბილაშვილის განმარტებით, არსებობს სასამართლოს ორი ბრძანება. ერთით ის განხორციელებულ ჩანაწერებს აკანონებს, მეორეთი კი ახალი ჩანაწერებისთვის დამატებით დროს განსაზღვრავს.

### ადეიშვილის ბრალეულობის საქმეს პროკურატურას გადასცემენ

**მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილის ბრალეულობის შესახებ დადგენილება პრაქტიკულად მომზადებულია. როგორც კბილაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, ადეიშვილის ბრალეულობა ციხის ინციდენტთან იკვეთება. — ადეიშვილის ბრალეულობის შესახებ დადგენილება პრაქტიკულად მომზადებულია, ის იხვეწება და დღეს თუ არა ხვალ, სასამართლოს წარედგინება, —** განმარტა კბილაშვილმა.

რაც შეეხება უშუალოდ ციხის სკანდალთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას, მთავარი პროკურორის განმარტებით, გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და ყველა დეტალი გულდასმით მოწმდება.

— ამიტომაც ამ მხრივ მოსაზრებას, რომ ჩვენ საქმეს სათანადო გულისყურით არ ვსწავლობთ, ვერ გავიზიარებთ. საქმეში ძალიან ბევრი დაზარალებულია, მიმდინარეობს თითოეული მათგანის დაკითხვა და ჩვენებების მიღება, — აღნიშნა კბილაშვილმა.

კითხვაზე, ადეიშვილის გარდა, აღნიშნულ საქმეზე იკვეთება თუ არა ბაჩო ახალაიას ბრალი, მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ ყოფილ შს მინისტრთან მიმართებაში, ამ ეტაპზე საუბარია მხოლოდ იმ ბრალეულობაზე, რასთან დაკავშირებითაც ის დაკავებულია.

გარდა ამისა, მთავარი პროკურორის ინფორმაციით ციხის სკანდალის საქმის გამოძიების ფარგლებში უკვე ჩატარდა გავრცელებული ვიდეომასალების ექსპერტიზა.

— მე როგორც ვიცი, ვიდეომასალების ექსპერტიზა უკვე ჩატარებულია, მათ შორის იქ მყოფ პირთა იდენტიფიცირების მიზნით. რაც შეეხება უშუალოდ ე.წ. ცოცხის კადრს, მონტაჟის კვალი არ ჩანს, — დასძინა მთავარმა პროკურორმა.

### სცენარს ადეიშვილი წერდა, განხორციელებას კი ციხის დირექტორებს ავალებდა

**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას თქმით, მას ციხის ყოფილმა მაღალჩინოსანმა აცნობა, რომ ზურაბ ადეიშვილის დავალებით შემუშავდა სცენარი, რომლის მიხედვითაც ციხეში პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა თამაზ თამაზაშვილს უნდა დაბრალებოდა.**

— ციხეში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით ერთ ისტორიას მოვყვები, რომელზეც საჯაროდ არ მისაუბრია. იმ ცნობილ კადრებთან დაკავშირებით, რომელიც ციხეში წამების, გაუპატიურების და საშინელ ძალადობრივ დანაშაულებებს ეხებოდა, დაკავებული იყო რამდენიმე საჯარო მოხელე, მათ შორის ციხის ყოფილი ხელმძღვანელები. დაახლოებით ერთი თვის წინათ შევხვდი ციხის ერთ-ერთ ყოფილ უფროსს, რომელიც იმ პერიოდში იყო საპყრობილის დირექტორი. მან მიამბო, როგორ ხდებოდა ადეიშვილის მხრიდან ფალსიფიცირებულ მასალებზე დამყარებული სცენარის დაგეგმვა. ის უშუალოდ ავალებდა კონკრეტულ პიროვნებებს როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს სცენარი ციხეში, დადგმულიყო კადრები წამების და არაადამიანური მოპყრობის, რომელიც უნდა დაბრალებოდა ბატონ თამაზაშვილს. ვისაც უშუალოდ დაავალა ადეიშვილმა ეს, სწორედ იმ ადამიანისგან მაქვს ეს ინფორმაცია მიღებული. მე ეს ფაქტი, ბუნებრივია, მივაწოდე შესაბამის სამსახურებს, რომლებმაც დაკითხეს ეს ადამიანი და მგონი, რამდენიმე ჩვენებაც გახდა უკვე ცნობილი. ეს ერთ-ერთი მძიმე შემთხვევაა, როდესაც ადეიშვილი ცდილობდა, თამაზ თამაზაშვილისთვის და „ქართული ოცნებისთვის" დაებრალებინა ის, რაც ხდებოდა ციხეებში. ეს ერთ-ერთია, მაგრამ არსებობს კიდევ ბევრი სხვა ფაქტი, — აღნიშნა ბესელიამ.

### ყოფილ მინისტრს უცხო ქვეყნის მოქალაქე უჩივის

**მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის ინფორმაციით ერთ-ერთი ყოფილი მინისტრის მიმართ პრეტენზიებით მთავარ პროკურატურას უცხო ქვეყნის საელჩომ მიმართა. საქმე ეხება იმ მინისტრს, რომლის მიმართაც უწყებას ბრალდება წარდგენილი არ აქვს.**

— ერთ-ერთი მინისტრის მიმართ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით პროკურატურას უცხო ქვეყნის საელჩომ მომართა. წერილში საელჩო მისი ქვეყნის მოქალაქის პოზიციას ახმაურებს და აცხადებს, რომ კონკრეტულმა მინისტრმა მისი მოქალაქე აიძულა „ტოიოტას" მარკის 10 ავტომანქანა შეეძინა, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მთავარმა პროკურორმა არც საელჩოს და არც მისი მოქალაქის ვინაობა არ დაასახელა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს არის „ძალიან მძიმე შემთხვევა".

**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განსჯა



„ინტერპრესნიუსს“ ესაუბრება პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის პოლიტიკური სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი არმაზ ახვლედიანი

# როგორც ჩანს, პრეზიდენტი ვერ აცნობიერებს, რომ მისი მატარებელი ჩიხში შევიდა

**— ბატონო არმაზ, როგორ შეაფასებდით 2012 წელს საშინაო პოლიტიკაში განვითარებულ პროცესებს და რას მიიჩნევდით წლევანდელ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად?**

— დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს საზოგადოებამ რეალურად პირველად, მშვიდობიანი და კონსტიტუციური გზით, გადაწყვიტა ქვეყნის განვითარების ბედი, მხარი დაუჭირა რა სამართლიანობის აღდგენას და დემოკრატიულ მმართველობას. სწორედ ამით შევა ისტორიაში 2012 წელი. 1-ელი ოქტომბრის გარდა წლის უმნიშვნელოვანეს, საეტაპო თარიღად 26 მაისი მიმაჩნია, როცა რუსთაველზე და თავისუფლების მოედანზე შეკრებილი მაღალი სამოქალაქო კულტურის მქონე ასობით ათასი ადამიანი მტკიცედ გაემიჯნა მახინჯ ავტორიტარულ რეჟიმს.

**— პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის განცხადებები კარგი დასტურია იმისა, რომ ახალსა და ძველ ხელისუფლებას შორის კოჰაბიტაცია არ შედგა. ივანიშვილის შეფასებით, „ოპონენტებმა კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობა ვერ მოახერხეს“. ძველი ხელისუფლება ახალს პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს, თქვენი აზრით, რატომ ვერ მოხერხდა ე.წ. კოჰაბიტაცია და რეალურად რასთან გვაქვს საქმე?**

— ასეთი თანამშრომლობისა და თანაცხოვრების ტრადიცია საქართველოში არ არსებობს. მაგრამ, ადრე თუ გვიან ხომ უნდა შეიქმნას. სამწუხაროდ, ძველმა ხელისუფლებამ, გარდა ყალბი მოწოდებებისა და დასავლელ პარტნიორებთან გამუდმებით თავის მოწონებისა, პრაქტიკულად ბევრი არაფერი გააკეთა ამ ტრადიციის დასამკვიდრებლად. ახალ ხელისუფლებასაც უჭირს ყოფილ გააფთრებულ მოწინააღმდეგესთან საერთო ენის გამონახვა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა მთავარი — თანდათანობით გააქრო შიში და პოლიტიკური პროცესი გამჭვირვალე გახადა, რაც თავისთავად კარგ ნიადაგს ქმნის თანამშრომლობისთვის. მაგრამ თანამშრომლობა ცალმხრივად ვერ შედგება.

**— როგორ შეაფასებდით „ნაცმოძრაობის“ ყრილობაზე პრეზიდენტ სააკაშვილის ახალი ხელისუფლებისადმი გაკეთებულ აშკარად კონფრონტაციულ განცხადებებს — „ჩვენ დავბრუნდებით საკმაოდ თავდაჯერებულად“, „ღმერთმა დაგვიფაროს საქართველოს ჭორვილიზაციისგან“, „საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას არ ვაპირებ“. აშკარაა, რომ კოჰაბიტაცია უშედეგოდ დასრულდა, გასაგებია, რომ „ნაცმოძრაობა“ მოქმედების ახალ რეჟიმზე გადავიდა, მაგრამ თქვენი აზრით, პრეზიდენტის განცხადებები ვისზე და რაზე იყო გათვლილი და რეალურად რისთვის ემზადება „ნაცმოძრაობა“?**

— პრეზიდენტს და „ნაცმოძრაობის“ სხვა ხელმძღვანელებს აშკარად აკლიათ გონიერება და პოლიტიკური ალღო. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ასეთი დესტრუქციული განცხადებებით უფრო მეტად აღიზიანებენ თავიანთი მძიმე წარსულით ისედაც უკმაყოფილო ხალხს. როგორც ჩანს, პრეზიდენტი ვერ აცნობიერებს, რომ მისი მატარებელი ჩიხში შევიდა და იმის მაგივრად, რომ მარცხის გამომწვევ მიზეზებზე იფიქროს, საკუთარი შეცდომები გააანალიზოს და ბოდიში მოიხადოს იმედგაცრუებისთვის, საერთოდ კარგავს მართვის უნარს და ცდილობს, ნაცადი დემაგოგიით კვლავ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოების ერთი ნაწილი. „ნაცმოძრაობა“ ლამობს, შექმნას განცდა, თითქოს მას შეუძლია დაკარგული ძალაუფლების დაბრუნება. არადა, ასეთი უსუსური ტაქტიკით იგი, როგორც ჩანს, საერთოდ დაკარგავს ადგილს პოლიტიკურ ასპარეზზე.

**— როგორ შეაფასებდით, ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნების“ საქმიანობას, მიღებულ ბიუჯეტს და ქვეყნის მართვის ტაქტიკასა და სტრატეგიას? ასევე, „ნაცმოძრაობის“ განცხადებებზე ივანიშვილის მოწოდებას საზოგადოებისადმი — „მშვიდად მიადევნეთ თვალი ჩვენი ოპონენტების განცხადებასა და ქცევას“?**

— ახალმა ხელისუფლებამ უკვე მოახერხა მთავარი დანაპირების შესრულება: საზოგადოებაში გაქრა ტოტალური შიში და დამკვიდრდა განცდა, რომ ხელისუფლება ველარ მოახერხებს სიცრუითა და დაშინებით ხალხის ნების დათრგუნვას. უფრო მეტიც, ხელისუფლება თავად იძლევა იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება კანონიერი, სამართლებრივი გზით საქმიანობა, დაშვებული შეცდომების გააზრება და მათ გამოსწორებაზე ფიქრი. დღეს ქვეყანა თვისობრივად ახალ გარემოში ცხოვრობს, სადაც წარსულს ჩაბარდა ერთპიროვნული მმართველობა, ოპონენტებისა და საზოგადოების პოლიტიკური ტერორი.

**— სავარაუდოდ, 2013 წელს რა სცენარით განვითარდება პროცესები საშინაო პოლიტიკაში და, რით დასრულდება საინფორმაციო სივრცეში უმრავლესობა-უმცირესობას შორის არსებული პრაქტიკულად ღია დაპირისპირება?**

— მომავალი წლის მთავარი თემები იქნება: სამართლიანობის დამკვიდრების პროცესის გაღრმავება, პოლიტიკაში, ეკონომიკასა და ყველა სხვა სფეროში რეალური პლურალისტური გარემოს შექმნა, მიხეილ სააკაშვილის გაწევრება მადრიდის (ყოფილი ლიდერების) კლუბში, „ნაცმოძრაობის“ ისედაც შელახული რეიტინგის მკვეთრი ვარდნა, ახალი ხელისუფლების მიერ განვლილი გზის კრიტიკული ანალიზი და შეცდომების გათვალისწინებით ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა. მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა უაზრო დაპირისპირება საინფორმაციო სივრცეში, არამედ საინფორმაციო საშუალებების საბოლოო გათავისუფლება პოლიტიკური და ფინანსური წნეხისგან. პოლიტიკოსებმა ნაკლები დრო უნდა დაუთმონ ყალბ რიტორიკას და იფიქრონ იმაზე, რომ მათი დრო და საარჩევნო შეკვეთა მკაცრადაა განსაზღვრული.

**— რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ დასავლეთისა და აშშ-ის დამოკიდებულება პრემიერ-მინისტრ ივანიშვილისა და საქართველოს ახალი ხელისუფლებისადმი შეიცვლება? და კიდევ, თუ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ახალ ხელისუფლებასთან მიმართებაში კონფრონტაციულ რიტორიკას ასევე კონფრონტაციული მოქმედებები მოაყოლა, როგორი იქნება ვაშინგტონისა და ბრიუსელის რეაქცია?**

— დასავლეთი მალე დარწმუნდება, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან თანამშრომლობის დრო იწურება. ყველა კარგად ხვდება, რომ პრეზიდენტის პათეტიკის მიღმა არაფერია, გარდა მძიმე მემკვიდრეობისა, უკიდურესად უკმაყოფილო ხალხისა და არაჯანსაღი პოლიტიკური ქცევისა. მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ აქვს შანსი, მეტ-ნაკლებად დადებითად ჩაეწეროს საქართველოს უახლეს ისტორიაში, ამისათვის მას საახალწლოდ კეთილგონიერება და პოლიტიკური პრაგმატიზმი უნდა ვუსურვოთ.

**— პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ინიციატივით, რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ქართულმა მხარემ პირველი ნაბიჯი გადადგა. ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლების არაოფიციალურ შეხვედრაზე კომენტარები გაკეთდა მოსკოვსა და თბილისში. 24 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე ივანიშვილმა განაცხადა, რომ ქართული მხარე დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე რუსეთის წარმომადგენლებთან შეხვედრას არ გეგმავს, თუმცა, იქვე დასძინა, რომ „გამორიცხული არაფერია“. პუტინმა ივანიშვილთან თავის სავარაუდო შეხვედრაზე საუბრისას კი აღნიშნა, რომ მან „არ იცის თუ როგორი შეიძლება იყოს ამ შეხვედრის დღის წესრიგი და „არ იცის, საერთოდ, რა შეიძლება გაკეთდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში“. ასეთ ფონზე, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესების შემდეგ გაჩნდეს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რაიმე პერსპექტივა?**

— ის, რაც დღევანდელი გადასახედიდან არარეალურად გვეჩვენება, შესაძლოა, დროთა განმავლობაში რეალობად იქცეს. რუსეთს, ადრე თუ გვიან, მოუწევს პოზიციის შეცვლა მთავარ საკითხებზე. მანამდე კი, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ხელისუფლება დინჯად, მოთმინებით, კორექტულად და სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად განაგრძობს ორმხრივი ურთიერთობების ჩიხიდან გამოყვანას.

**კობა ბენდელიანი**

◎ კრიმინალი

# როგორ „კეთდებოდა“ ფული,

## ანუ ნიკოლაიშვილ-რურუების შეხმატკბილებული ტანდემი - ბიუჯეტის ხარჯზე

**რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შიდა აუდიტმა ჩატარებული ტენდერების დროს უამრავი შეცდომა და დარღვევა აღმოაჩინა. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გარეგანათების ტენდერის ჩატარებისას კომისიამ მხოლოდ „ენერჯი ინვესტ გრუპი“ დაუშვა. დანარჩენ 5 მონაწილე კომპანიას კატეგორიული უარი ეთქვა, მაშინ, როდესაც გამარჯვებული სხვა მონაწილეებთან შედარებით სამუშაოების ჩატარებისთვის გაცილებით მაღალ თანხებს ითხოვდა.**

სხვათა შორის, განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის მშენებლობის დეტალები და გახარჯული თანხები მკაცრად გასაიდუმლოებულია. **საზოგადოებას წინა ხელისუფლება გულმოდგინედ უმალავდა, თუ სად და რისთვის გაიხარჯა ბიუჯეტიდან მიღებული 2 მილიარდი ლარი, რომლის 80 პროცენტი საგარეო სესხია და მისი როგორც მთლიანი მასა, ასევე პროცენტები, ჩვენი მოქალაქეებისა და მათი შთამომავლების გადასახდელია. მოსახლეობა კი, 2005 წლიდან სრულ ინფორმაციულ ვაკუუმშია.**

როგორც სამინისტროს მონაცემებით ირკვევა, ნიკოლაიშვილს შერჩეული ჰყავდა ე. წ. თავისი კომპანიები, რომელთაც უპირობო გამარჯვება გარანტირებული ჰქონდათ, მიუხედავად ტენდერზე სხვათა მიერ წარმოდგენილი პროექტების სიიაფისა და მომგებიანობისა.

**ერთ-ერთი ასეთი ფირმა მაშინდელი კულტურის მინისტრის ნიკა რურუას ძმის, ცნობილი „მხედრიონელის“, „ბოროტების“ საძმოს ლიდერის გიორგი რურუასია. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის სვენეთი-რუისის მონაკვეთზე გარეგანათების ქსელის მოწყობაზე გამართულ ტენდერში სწორედ რურუების კომპანია „ვიალუქსმა“ გაიმარჯვა. სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციაში მიუთითა ისეთი ტიპისა და მახასიათებლების ის სანათი, რომელსაც მხოლოდ ერთი იტალიური ფირმა აწარმოებს და საქართველოში ამ ფირმისაგან საქონლის შეძენის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ „ვიალუქსს“ აქვს. ინფრასტრუქტურის სამინისტროში აცხადებენ, რომ დარღვეულია საქართველოს კანონი შესყიდვების შესახებ. რურუების ფირმა მონაცემებისა და შესაძლებლობების მიხედვით ტენდერის ერთადერთი მონაწილე იყო და, შესაბამისად, გამარჯვებულიც — სახელშეკრულებო ფასით 2050 152 ლარი.**



**თელავში გარეგანათების ბოძების შეძენა-მონტაჟისათვის მილიონ 453 ათასი ლარი გამოიყო. ერთსანათიანი ბოძის ღირებულება 2800 ლარია, ორისა კი 3200. სამინისტრომ კი მათში, თითოეულში 6515 ლარი გადაიხადა, რაც ორჯერ მეტია მათ საბაზრო ფასზე, აცხადებს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია.**

**კახეთის რეგიონალური განვითარების პროექტის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების ანალიზის შედეგად სამინისტროს შიდა აუდიტმა სხვა დარღვევებიც გამოავლინა. კერძოდ „ნადიკვრის“ პარკის მშენებლობის დროს პროექტით გათვალისწინებულ 4 მლნ 600 ათას ლარს ხარჯვითმა ნაწილმა 700 ათასით გადააჭარბა.**

**ხელისუფლებაში ახალი ძალების მოსვლისთანავე ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაჩნდა კითხვები კომპანია „ნიუ ენერჯის“ მიმართ. როგორც მინისტრი დავით ნარმანია აცხადებს, ამ კომპანიას შეუსრულებელი აქვს ბევრი ნაკისრი ვალდებულება. მიუხედავად ამისა, ის ნიკოლაიშვილის ფავორიტი იყო და სამინისტროს მიერ გამოცხადებული თითქმის ყველა ტენდერში იმარჯვებდა (გზების დაგება, დამხმარე მშენებლობები, წყლის მომარაგების მოწესრიგება და სხვა). ჩატარებული სამუშაოების შედეგად კომპანიას დარჩენილი აქვს საგადასახადო ვალები და ბანკების დავალიანებები.**

**ასეთ, ბურუსით მოცულ გარემოში მყოფი სამინისტროს №1 პირი რამაზ ნიკოლაიშვილი აცხადებდა, არაერთი ქვეყანა საგზაო ინფრასტრუქტურებში ჩატარებულ ტენდერებთან დაკავშირებით ქართული გამოცდილების გაზიარებას ითხოვსო. ჩვენი მეზობლები მთელი წლის განმავლობაში, 1-2 ტენდერზე მუშაობენ, ჩვენ კი ამ დროის განმავლობაში 200-მდე საერთაშორისო ტენდერზე ვმუშაობთო,** — აცხადებდა ნიკოლაიშვილი.

ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროში ჩახლართული საქმე მრავლადაა. სწორედ ამის გამო სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ამგვარი შინაარსის 13 საქმე გადაუგზავნა გამოსაძიებლად.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ გადასახადების მარჟუჟი



# მხრჩოლავი გაზი „ნაგვიანი“ დენის შუქზე

**ქვეყანაში ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის სავალალო, ჯანდაცვის სფეროში კატასტროფულ, ბიზნესის ბეჩავ, ფინანსთა საცოდავ და ა.შ. მდგომარეობაზე ლაპარაკი, როგორც მასმედიას, ისე აუდიტორიას ყელში აქვს ამოსული, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ისეთია, რომ ამ და კიდევ უამრავ სხვა თემას, გინდა — არ გინდა, მაინც იძულებული ვართ ისევ და ისევ დავუბრუნდეთ.**

კარგად გვესმის, რომ საქართველოში ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ სულ ორი თვე გავიდა, ამდენად ბევრი რამ დროის სიმცირის გამო, ვერც გაკეთდებოდა, მაგრამ ხალხს ცვლილებები დაუყოვნებლივ სჭირდება. ერთი რომ, სასიკეთო ცვლილებების, ფაქტობრივად, მყისიერად მიღების სურვილი სულაც არ არის მარტო საქართველოს მოსახლეობისთვის დამახასიათებელი, ამას თავიანთ მთავრობებს, ფაქტობრივად, უკლებლივ ყველა ქვეყნის მოსახლეობა სთხოვს. მეორე გარემოება კი ისაა, რომ არჩევნების შემდგომ პოლიტიკური ვნებათაღელვა, რაც, ძირითადად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების კონკურენციით იყო გამოწვეული, თითქოსდა რამდენადმე უნდა დამცხრალიყო და მხარეები კონსტრუქციულ თანამშრომლობას უნდა შესდგომოდნენ, მაგრამ ვითარება სულიად საპირისპიროა, რადგან არათუ თანამშრომლობა, პოლიტიკური ოპონირება ლამის აშკარა დაპირისპირებაში გადადის, რაც საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის გრადუსს მაღლა სწევს.

„პოლიტიკური სიცხის“ კონკრეტული გამომწვევი მიზეზები ყველასთვის კარგადაა ცნობილი — ეს, უწინარესად, ნაცმოძრაობის ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსანთა დაკავებები, პროკურატურაში დაბარებები, წინასწარი პატიმრობის მისჯაა, მთელ რიგ რაიონში მოსახლეობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს „იმ“ ხელისუფლებიდან მოსულ ხელმძღვანელთა მიმართ უნდობლობის გამოხატვა და მსგავსი სხვა მომენტებია. მეორე მხრივ, ამას ქართული ოცნების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში ხალხისთვის მიცემულ დაპირებათა ჯერჯერობით შეუსრულებლობაა, რასაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებლად გარკვეული დრო სჭირდება. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ამას არ იზიარებს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, კერძოდ, განაცხადა, რომ ახალი მთავრობა ყველა დანაპირებს ასრულებს, ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებითაც კი, რის მაგალითად, სამედიცინო დაზღვევის, სოციალური დახმარების გაზრდილი პაკეტები, სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი სახსრების მიმართვა და ზოგიერთი სხვა დაასახელა.

არავინ დავობს, რომ ყველაფერი ეს, ცხადია, ძალიან კარგია, თუმცა, როგორც ამ მასალაში უკვე აღვნიშნეთ, ყველაფერს დრო სჭირდება, ხალხს კი ცხოვრება დღეს უჭირს, ჭამაც ყოველდღე უნდა, გათბობაც, განათებაც, მკურნალობაც და... ნუსხის გაგრძელება ნამდვილად არ ღირს, ყველამ ყველაფერი მშვენივრად იცის. არადა, საიდანაც გნებავთ შეხედოთ, ვითარება — ნორმალურადაც, არსებითადაც, ისეთივეა, რაც თუნდაც შარშან ამ დროს იყო: დასუფთავების გადასახადი ისევ ელექტროენერგიაზეა მიბმული და მისი მოსახლეობისგან ამოღება უწინდელ იმავე „ეგზეკუციური მეთოდით“ ხორციელდება — მომხმარებელს მთლიანი თანხის გასტუმრებისას ერთი ლარიც რომ დააკლდეს, დენს უთიშავენ, თანაც ამას საგანგაშო გარემოებაც ახლავს, რომელზეც ლაპარაკს რატომღაც თავს ვარიდებთ. მხედველობაში გვაქვს ის მომენტი, რომ თუმცა, დასუფთავების გადასახადი განახევრდა და ამით მოსახლეობას თითქოსდა შეღავათი უნდა მისცემოდა, გადასახდელი თანხები არა თუ არ შემცირდა, პირიქით, მოიმატა კიდეც. მართალია ყველანი ელექტროენერგიის ყაირათიანად, მხოლოდ საჭიროებისამებრ მოხმარებას ვცდილობთ, იმაზე ნაკლებსაც კი ვხარჯავთ, რასაც წინა თვეებში, გადასახადი კი იმაზე 10-20 ლარით მეტი მოდის (?). იგივე ხდებოდა შარშან, რაც ყველას კარგად გვახსოვს და რაც ხალხის უკიდურესი აღშფოთების მიზეზი იყო. კარგად გვესმის, რომ მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებაში, დისპეტჩერიზაციაში, დისტრიბუციასა და ა.შ. ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ ჯერაც დაულაგებელია, მაგრამ როცა წლიდან წლამდე სასიკეთოდ არაფერი იცვლება, ეს, ბუნებრივია, გულდამშვიდებით ყოფნის კომფორტს არავის უქმნის. იგივე მდგომარეობაა ბუნებრივი გაზის მიწოდების მხრივაც: სკოლის ფიზიკიდანვე ვიცით, რომ, ვთქვათ, ერთი კუბური მეტრი გაზის დაწვისას სითბოს კალორიების გარკვეული ოდენობა უნდა გამოიყოფოდეს და ამ პოსტულატს ვერც ერთი „ყაზტრანსგაზი“ ვერ გააუქმებს. არადა, გაზის სითბური კალორიულობა აშკარად დაბალია, რის შემჩნევას მაინცდამაინც დიდი გენიოსობა არ სჭირდება, რადგან, სხვა თუ არაფერი, ქურაში თუ გამათბობელში ანთებული იგი ელემანტარულად ხრჩოლავს, მრიცხველიც უფრო მეტი „მონდომებით“ ტრიალებს...

მოკლედ, ისეა საქმე, რომ „პირველად ქვეყნის ისტორიაში ხელისუფლების არაძალადობრივი გზით, მშვიდობიანად გადაცემის მიუხედავად, ჯერჯერობით მაინც ისევ იქა ვართ, სადაც მიგვიყვანეს თუ ყურით მიგვათრიეს. ქვეყანაში აშკარა ორხელისუფლებიანობის პირობებში კი ეს წინა ხელისუფლების მომხრეთა საბოტაჟია თუ ახლების უნიათობა, ძნელი სათქმელია, რადგან ხეირიანად არ ვიცით, თუ რა მდგენელები აქვს რეალურად ჩვენს კომუნალურ გადასახადებს, საბანკო განაკვეთებს, ქუჩაში ავტომანქანების გაჩერების თუ მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმებს, წამლების მონოპოლისტების მიერ დაწესებულ ფასებს, ნავთობპროდუქტებს და ა.შ. ამის თაობაზე მართალია, ბევრს კი გველაპარაკებიან, მაგრამ კონკრეტიკა, ფაქტობრივად, არ არის.

**ლალი ხუნდაძე**

◉ ინფორმაცია

## საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფისგან ჟურნალისტები გამოიყვანეს



**სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი გიორგი ტუღუში ციხეების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფიდან ჟურნალისტების ამოღების გადაწყვეტილებას არ ეთანხმება.**

**ამასთან, როგორც ტუღუშმა განაცხადა, არასწორია სასჯელაღსრულების სამინისტროს განცხადება, თითქოს მონიტორინგის ჯგუფს მოქმედების ვადა 2013 წლის პირველ იანვრამდე აქვს.**

**ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ ბრძანება, რომელსაც ხელი თავად მოაწერა, მონიტორინგის ჯგუფის მოქმედების ვადად არა პირველ იანვარს, არამედ — 31 იანვარს განსაზღვრავს.**

**— თუ ჟურნალისტებს მონიტორინგის უფლება აღარ ექნებათ, უნდა დაკონკრეტდეს, ვის ინტერესებს ლახავენ ისინი. ხშირად მომისმენია, რომ ჟურნალისტებს ციხიდან ექსკლუზივები გამოაქვთ პატიმრებისგან. ამაზე მე ყოველთვის მქონდა არგუმენტი, რომ ჟურნალისტს ისედაც შეუძლია წერილობით გაუგზავნოს პატიმარს შეკითხვები, მიიღოს მისგან პასუხები და გამოაქვეყნოს, როგორც ინტერვიუ. საუბარი იყო იმაზეც, რომ ჯგუფი გარკვეულ წესებს უნდა დაექვემდებაროს და ვალდებულება ჰქონდეს, ანგარიში წარმოადგინოს. კი ბატონო, შეიძლება რაღაც წესები შემუშავდეს, რომელსაც ჯგუფის წევრები დაეთანხმებიან. თუ კი, მედიასაშუალების წარმომადგენლებს ჯგუფის წევრობა შეეზღუდებათ, უნდა დაკონკრეტდეს, ვის ინტერესებს ლახავენ ისინი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რათა პროპორციულობის პრინციპი იყოს დაცული. მივიჩნევ, რომ მედიის წარმომადგენლების ჯგუფში ყოფნა უფრო სარგებლის მომტანია, ვიდრე — ზიანის, — განაცხადა გიორგი ტუღუშმა.**

## ამნისტიის კანონით ციხეებს მინიმუმ 3 000-ზე მეტი პატიმარი დატოვებს

**ამნისტიის კანონით სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მინიმუმ 3 000-ზე მეტი პატიმარი დატოვებს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განუცხადა.**



**მისი თქმით, პირველ ეტაპზე გათავისუფლდებიან პოლიტპატიმრები, ხოლო შემდეგ სხვა მსჯავრდებულები.**

**— კანონის აღსრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის გამოქვეყნდება. კანონი გამოქვეყნდება პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. კანონის ძალაში შესვლიდან ერთკვირიან ვადაში თავისუფლდებიან პოლიტპატიმრები, ხოლო 2 თვეა მაქსიმალური ვადა, როდესაც ამნისტიის აღსრულება უნდა მოხდეს ყველა დანარჩენი პატიმრის მიმართ. რამდენიმე ათასი პატიმარი გათავისუფლდება. ზუსტი ციფრის თქმა ძნელია, რადგან რამდენიმე მუხლია, რომელსაც აქვს წინაპირობა და ეს წინაპირობები უნდა დადგეს იმისთვის, რომ გათავისუფლება მოხდეს. შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის მინიმუმ 3000-ზე მეტი ადამიანი. სასჯელი გაუნახევრდება ასევე რამდენიმე ათას პატიმარს. რაც შეეხება სასჯელის შემცირებას 1/4-ით — ის დაახლოებით 15 700 პატიმარს შეეხება. მთლიანობაში არც ერთი პატიმარი არ რჩება, რომელსაც ამნისტია სხვადასხვა ფორმით არ შეეხება, — განაცხადა ბესელიამ. მისივე ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტს კანონზე ხელი მოწერილი ამ დროისთვის არ აქვს.**

**ინტერპრესი**

◉ არის წინადადება!

## არჩევანი - დაცვას... ბრალდებას აღარც არადანი?..

**ერთი კუთხით უცნაური პოსტნაცური ვითარება შეიქმნა: ნაცმოელთა ცნობადი თუ ცნობილი სახეები ექვმიტანილის ან მოწმის ან „დაკითხვადის“ ან სულაც ბრალდებულის „რანგში“ შედიან მოდულში (ეგრეთ წოდებულში, რა თქმა უნდა) კიდევ ამა თუ იმ სამმართველოში და იქიდან გმირების, წამებულების, „ზეწოლილების“ როლში გამოდიან.**

აგერ, ბოლო ექვსი ნაცის ამბავი ავიღოთ: არც ერთი არ ცნობს თავს დამნაშავედ, ყოველი მათგანი ყველა ბრალდებას უარყოფს, პოლიტდევნილის მანტიას ისხამს და ტელეკამერების წინ ყინჩაობს. ღმერთმანი, ზოგჯერ მგონია, რომ დამნაშავე... პუშკინია...

ადვოკატებს ხომ ბაირამობის ხანა დაუდგათ: ის ტელეკამერები ყოვლის უპირველეს მათ ეძებენ, მათკენაა მიშვერილი და იმათ მონოლოგებს მასმენინებენ: რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა ვერავითარი სამხილი, რომ დაცვის ქვეშ მყოფი ცამდე მართალია (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ცამდე), რომ ვერც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი ბრალმდებელთაგან ჩვენ ვერ მოვისმინეთ და ასე შემდეგ და ასე ამგვარად...

ამნაირად გაჯეჯილებული ადვოკატები, მე პირადად, არ მახსოვს ჩვენს სინამდვილეში. თურმე „რუსთავი-2“ თავისუფალი და დამოუკიდებელი ტელეარხი ყოფილა (არადა, ნაცთა მთავარი „რუპორია“ და უმაღლესი ნაცის, ნაცთა მთავარჭარტალის, 45 წლის იუბილარი პრეზიდენტის მრავალწლიანი „ნარგავია“ და მუჭის ტელევიზიაა), ბაჩო-ყაჩაღი და ვანო-ყაჩაღი არსენები ყოფილან, ნიკა გვარამია უდიდესი ინტელექტუალია და მაგისი დადანაშაულება არამია და სხვა... გამომძიებლები და პროკურორები კი მორცხვად დუმან და არადანსაც ვერ იყენებენ. აქვე სათქმელად, და უკვე ნათქვამის გამეორებით, ვერც საპარლამენტო უმრავლესობა გამოიყურება, სიტუაციის გაშუქებისას, დამაჯერებლად და უკმარისობას ემსგავსება, საპარლამენტო უმცირესობა კი ლამის „უგმირესობად“ წარმოდგეს იდეოლოგიურ ბრძოლაში...

არც გირაობანა მომწონს მაინცდამაინც. დანაშაული თუა, ის ფულით არ უნდა გამოისყიდებოდეს და გარდა ამისა, მილიონებისა და მილიარდებისაც ჩამჯიბავნი და მჭმელნი ათასებით არ უნდა „გამოდიოდნენ“ (სეიფში მილიონ ორასი ათასი უპოვო და ხუთი ათასად გამოუშვა?..). პირველ ოქტომბერს მომხდარ მაგ ყუთების რევოლუციას **მაყუთების რევოლუციად** ნუ გადავაქცევთ!..

ნეტავ, თუ ღმერთმა ქნა და პრეზიდენტი დააკავეს ან დაკითხვაზე დაიბარეს, მერე რა საგირაო ტარიფს შეუფარდებენ?..

მოკლედ, და ბოლო აკორდად: **ხომ არ დამდგარა სამართალი თავდაყირაო, თუ ამ სისტემის წარმმართველი გახდა გირაო?..** შემოვდივარ რაციონალიზატორული წინადადებით: ტერმინი „ბრალდებული“ კი დავტოვოთ, მაგრამ ზოგ შემთხვევაში **„გირაოდებულით“** ჩავანაცვლოთ...

**ბერდია ბედოიძე**

◉ წკეპლიკა

## აწ პრეზიდენტსა მიუწერს...

**რასაა**, რომ გამოდიხარ და ამბობ... მაგ თავში ამდენი რად გიქრის და როგორ გიქრის, მაცოდინა ნეტავი... შენ რომ ხარ, იმისთანა პრეზიდენტისაგან არ ეკუთვნის, ეგება, მე რომ ვარ, იმისთანა მოქალაქეს, ასეთების მოსმენა და ამაზე თუ გიფიქრია ერთხელ მაინც... მიხეილ-ბატონო, ათი ათასი დოლარი მჭირია დღესვე თურქეთში წასასვლელად; თუ ცოცხალი ვერ დავბრუნდი, მოგჭამა ჭირი მაგ დოლარებმა; თუ გადამდგარს მოგისწარი, გიგის დავუბრუნებ მაშინ; თუ ვიქენით ორივე — არ დაგეკარგება, იცი ეს შენ...

და მაინც, ეშმაკობ, მიშიკო, რაღაცას შენ... ჯერ წესია პრეზიდენტობაც და მერე პრეზიდენტობაა პრეზიდენტობა, გახსოვდეს ეს კარგად... წადი ახლა, მიშა, ბიძიკო, შენ გზაზე...

**ლუკა გორგაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№248. ოთხშაბათი, 26 დეკემბერი, 2012 წელი.

# პირველი ნაბიჯი ქართულმა მხარემ უნდა გადადგას...

## ევრაზიის ინსტიტუტის მრგვალი მაგიდა ნატოსადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ



**2012 წლის 20 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო „ვერე პალასში“ შედგა ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ამავე წლის აგვისტოს მიწურულს – სექტემბრის დასაწყისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების საექსპერტო განხილვა. გამოკითხვა, სხვა პუნქტებთან ერთად, მოიცავდა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ჩრდილოატლანტიკური ბლოკის – ნატოს მიმართ. სულ ხუთი კითხვა იყო ამ საკითხთან დაკავშირებით (დეტალური შედეგების ნახვა შეიძლება ევრაზიის ინსტიტუტის საიტზე, ასევე ვებ-გვერდზე „გეორგია-მონიტორ.ორგ“.).**

სხდომა გახსნა ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **გულბაათ რცხილაძემ,** რომელმაც შეკრებილ ექსპერტებს, ჟურნალისტებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს გამოკითხვის ძირითადი შედეგები გააცნო. მან გამოყო რამდენიმე მომენტი: შედეგების მიხედვით გამოკითხულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ვერ პასუხობს დასმულ კითხვებს, ან უარს ამბობს საკუთარი პოზიციის გამოხატვაზე. ამგვარ ადამიანთა პროცენტი განსაკუთრებით მაღალია, როდესაც მათ თავიანთი პოლიტიკური სიმპათიების შესახებ ეკითხებიან, მაგრამ ასევე საკმაოდ მაღალია ნატოს საკითხთან მიმართებით გაურკვეველთა ან პასუხისგან თავის ამრიდებელთა რაოდენობა.

ეს ფაქტორი გ.რცხილაძემ დაუკავშირა იმას, რომ მოსახლეობას ძალზე ზერელე წარმოდგენები აქვს ნატოს როლზე მსოფლიოში, იმაზე, თუ ზოგადად რას წარმოადგენს აღნიშნული ორგანიზაცია. გარდა ამისა, მისი აზრით, გარკვეულწილად მოქმედებდა შიშის ან სიფრთხილის ელემენტიც, რადგან წინა ხელისუფლება ამ საკითხის პოლიტიზაციას ახდენდა და აქცია კიდეც იგი პოლიტიკური კონიუნქტურის ნაწილად.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იმ გამოკითხულთა შორის, ვინც თავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრედ მოიაზრებს, უმეტესობა სიმპათიას გამოხატავს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის მიმართ. მაგალითად, აღნიშნული კატეგორიის გამოკითხულთა 67% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნატოსა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. მხოლოდ 2%-ს მიაჩნია ნატო აგრესიულ ბლოკად. ამავე დროს, კოალიცია „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა უმრავლესობა ნატოს მიმართ უნდობლობას გამოხატავს. მათგან მხოლოდ 10% მიიჩნევს, რომ ნატოსა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო 53% პირიქით ფიქრობს. მაშინდელი ოპოზიციური კოალიციის ამომრჩეველთა 32%-მა დადებითი პასუხი გასცა კითხვას, რომ ნატო აგრესიული სამხედრო ბლოკია, 30% ფიქრობს, რომ ნატო – თავდაცვით სამხედრო ბლოკს წარმოადგენს. მხოლოდ ერთ საკითხშია თანხვედრა „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ მომხრეებს შორის – თუკი საქართველოს მოუწევს არჩევანი საქართველოს ნატოში წევრობასა და ტერიტორიულ მთლიანობას შორის, ორივე ამ პარტიის (ისევე როგორც დანარჩენი პარტიების) მომხრეთა უდიდესი უმრავლესობა ტერიტორიულ მთლიანობას არჩევს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, „ნაცმოძრაობის ამომრჩეველთა 11% ნატოში წევრობას ანიჭებს უპირატესობას, და ეს ციფრი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა პარტიების მომხრეთა შემთხვევაში.

ასევე, აღინიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობაში არაპოპულარულია ნატოს ეგიდით ქართული ჯარის გაგზავნა ცხელ წერტილებში (ავღანეთი და სხვ.). გამოკითხვამ აჩვენა, რომ გარდა „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებისა, ყველა დანარჩენი ელექტორატი ამ საკითხში უარყოფითადაა განწყობილი.

მკაფიოდ უარყოფითი განწყობა აქვთ, ისევ „ნაცმოძრაობის“ მომხრეთა გარდა, დანარჩენ ამომრჩევლებს, საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზების შესაძლო განლაგებასთან მიმართებით. როგორც გულბაათ რცხილაძემ აღნიშნა, სახელისუფლებო პროპაგანდა მოსახლეობას არ უხსნის, რომ ნატოში წევრობა, შესაძლოა, დიდი ალბათობით, უცხო სახელმწიფოთა საჯარისო კონტინგენტის განთავსებას ნიშნავდეს ჩვენს მიწაზე. მოსახლეობას რომ ეს ჰქონდეს გათვითცნობიერებული, სავარაუდოდ, იგი საქართველოს ნატოში შესვლის წინააღმდეგ განეწყობა.

კონფლიქტოლოგმა **გოგი ხუციშვილმა** აღნიშნა ამგვარი გამოკვლევების მნიშვნელობა. მან გაამახვილა ყურადღება გარემოებაზე, რომ ოქტომბრამდე (ე.ი. არჩევნებამდე) მოსახლეობაში გავრცელებული იყო ისეთი მოქცევის სტერეოტიპი, როდესაც ადამიანებს ეშინოდათ ან თავს იკავებდნენ არაპოპულარული ან ასეთად მიჩნეული აზრის გამოთქმისაგან. ამიტომ საინტერესო იქნებოდა ამგვარი გამოკვლევების გაგრძელება მომავალ წელს და დაკვირვება, შეიცვალა თუ არა ვითარება. ექსპერტმა გამოთქვა შეშფოთება, რომ გამოკითხვაში დაფიქსირებული ფაქტი, რომლის მიხედვითაც „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები მთლიანობაში დადებითად უყურებდნენ ნატოს როლს, მაშინ, როდესაც „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები სკეპტიკურ პოზიციას გამოხატავდნენ, არ იქნას ვინმეს მიერ გამოყენებული, ვინც ფაქტის ამგვარი ინტერპრეტირებით არის დაინტერესებული.

ექსპერტ **სოსო ცისკარიშვილის** აზრით, ამგვარი გამოკითხვების შედეგებით შეიძლება ისარგებლოს „ნაცმოძრაობამ“, რომელიც ესწრაფვის, დაარწმუნოს საქართველოს დასავლელი პარტნიორები იმაში, რომ მხოლოდ იგია ჭეშმარიტად „პროდასავლური“ და საქართველოს ნატოში შესვლაზე ორიენტირებული ძალა. ცისკარიშვილმა აღნიშნა, რომ ნატოში წევრობის იდეამ და თავად ამ ორგანიზაციამ დისკრედიტაცია განიცადა ყოფილი მმართველი პარტიის მხრიდან, რომელიც აცხადებდა, რომ თავის პოლიტიკაში ნატოს ეყრდნობა და სულაც დასავლელი პარტნიორების დახმარებით ინარჩუნებს ძალაუფლებას. თუკი ნატო იგივეა, რაც „ნაციონალური მოძრაობა“, მაშინ არ ვარგა ნატოც – ასეთი სტერეოტიპი, შესაძლოა, ჩამოყალიბდა, ბევრ ქართველ ამომრჩეველს შორის.

სოსო ცისკარიშვილმა, ისევე როგორც გ.ხუციშვილმა, სურვილი გამოთქვა, რომ იხილოს ახალი კვლევების შედეგები უკვე არჩევნების შემდგომ პერიოდში. ექსპერტის თქმით, დრო, რომელიც გავიდა არჩევნების შემდეგ, საკმარისი უნდა იყოს, რომ მოსახლეობამ გააცნობიეროს: ნატო არ არის სახელმწიფოსთვის საფრთხე და არ არის „ნაციონალური მოძრაობა“. თუმცა, აღნიშნა ექსპერტმა, გვაქვს საპირისპირო ინფორმაციაც, როდესაც ნატოს ხელმძღვანელები, ეყრდნობიან რა ცალმხრივ მონაცემებს, გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს ტენდენცია არ არის საბოლოო, აღნიშნა ცისკარიშვილმა.

პროფესორმა **ომარ გოგიაშვილმა** გაკვირვება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი სხვაობა გამოიკვეთა „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებს შორის. მისი თქმით, იგი ელოდა, რომ ორივე პარტიის ამომრჩევლები ორიენტირებულნი იქნებოდნენ დასავლურ ფასეულობებზე.

ო.გოგიაშვილი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ყოფილმა მმართველმა პარტიამ მოახდინა ნატოს იდეისა და, საერთოდ, დასავლური ფასეულობების დევალვაცია მოსახლეობაში. მან ბრალი დასდო „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ ყოფილი მმართველი პარტია ატყუებდა ხალხს, იგონებდა ყალბ ინფორმაციებს, მაგალითად, საქართველოს მიერ „ასპირანტის“ სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა, ასეთი სტატუსი არ არის დაფიქსირებული ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ოფიციალურ დოკუმენტებში. ერთადერთი პოზიტიური ამ მხრივ, რაც მოხდა ბოლო დროს, მისი აზრით, არის ის, რომ საქართველო აღმოჩნდა ბალკანეთის ქვეყნებს შორის, რომელთა ნაწილმა უკვე მიიღო „მაპი“, მეორე ნაწილი კი უფრო ახლოს დგას მის მიღებასთან, ვიდრე საქართველო.

პოლიტიკურმა ექსპერტმა და ჟურნალისტმა **ნანა დევდარიანმა** წაიკითხა მოხსენება საქართველოში ნატოს საკითხის განხილვის პრეისტორიის შესახებ. მისი თქმით, პირველმა პრეზიდენტმა ზ.გამსახურდიამ არცერთხელ არ განაცხადა სურვილის შესახებ, საქართველო შესულიყო ნატოში. ხელისუფლებაში ე. შევარდნაძის მოსვლის შემდეგ, 1992 წელს საქართველო შევიდა ნატოს თანამშრომლობის საბჭოში, ხოლო 1994 წელს გახდა ნატოს პროგრამის „თანამშრომლობა მშვიდობისათვის“ მონაწილე. ამ ორ თარიღს შორის დაიკარგა აფხაზეთი და დაიმარხა იმედი, რომ საქართველოს „დასავლელი მეგობრები“ და პირადად შევარდნაძე, დახმარებას გაწევდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.

ნ.დევდარიანის აზრით, ერთადერთი, რასაც შეუძლია, საქართველოს უბიძგოს ნატოსთან „ჩასახუტებლად“, ესაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარების გაწევა, რასაც, ნატო არასოდეს იზამს.

სასაზღვრო დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, გენერალმა **ვალერი ჩხეიძემ** ხაზი გაუსვა საქართველოს მოსახლეობისთვის ნატოს საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოწოდების აუცილებლობას. მისი სიტყვებით, ინფორმაციას, რომელიც მოდის საქართველოში, ცალმხრივი ხასიათი აქვს. მან მაგალითად ავღანეთი მოიყვანა, სადაც, ნატოს ჯარების შესვლის შემდეგ, ნარკოტიკების წარმოება რამდენიმე ათეულჯერ გაიზარდა.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების სპეციალისტმა **არჩილ გამზარდიამ** თავის მოხსენებაში ყურადღება საქართველოსთან უცხო სახელმწიფოთა მოკავშირეობის პრობლემაზე შეაჩერა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: გეოპოლიტიკური ინტერესები, ფასეულობათა სიახლოვე, ეკონომიკური ფაქტორები და რელიგიური მომენტები. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ურთიერთობებს ევროპასთან მუდამ ჰქონდა და ახლაც აქვს ზედაპირული ხასიათი, მხოლოდ ეტიკეტის დონეზე, და ევროპისთვის საქართველო რჩება იმპულსურ ქვეყნად, რომელიც უფრო პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე საიმედო პარტნიორს. ამიტომ საქართველოსთვის ორგანული ურთიერთობების თვალსაწიერში ორი პარტნიორი რჩება: აშშ და რუსეთი. ამავე დროს, ორივე ეს ძალა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის.

2008 წლის შემდეგ ქართულ საზოგადოებაში გამოიკვეთა შეერთებული შტატებით იმედგაცრუება, რადგან ხალხი მოელოდა აფხაზური და ოსური კონფლიქტების გადაწყვეტაში მხარდაჭერას. საქართველო ამჟამად კვლავ იმყოფება იმ ეტაპზე, როდესაც საჭიროა საგარეოპოლიტიკური ორიენტირების არჩევა. შეერთებულ შტატებთან „მოკავშირეობის“ არჩევანის სასარგებლოდ თავისუფლების ფასეულობის ფაქტორი მეტყველებს: ე.წ. ამერიკული ცხოვრების წესში ქართველებს მოსწონთ თავისუფლების იდეა, რომელიც არანაირად არ ასოცირდება რუსეთთან. აშშ, განსხვავებით რუსეთისაგან, იყენებს ზეწოლის ირიბ მეთოდებს, *თითქოს* აძლევს საქართველოსმაგვარ პატარა ქვეყნებს თავისუფალი არჩევანის საშუალებას.

ნატოს საკითხს რაც შეეხება, ექსპერტმა თავის მხრივაც აღნიშნა ქართული საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე, ამ საკითხთან დაკავშირებით. საამისო მაგალითად გამოდგება ფაქტი, რომ ბევრი მათგანი, ვინც გამოკითხვებში ნატოსადმი დადებით განწყობას აფიქსირებს, ამავდროულად წინააღმდეგია ამ ორგანიზაციის საჯარისო ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებისა. გამოდის, რომ საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში დადებითად აღიქვამს ნატოს, პროპაგანდისტული სტერეოტიპების დონეზე, რომელთაც ნერგავდა წინა ხელისუფლება. ეს არ არის საკმარისი, გააზრებული არჩევანის გასაკეთებლად. მთლიანობაში, ა.გამზარდიას აზრით, საქართველოს აქვს არჩევანი არა ორ შესაძლებლობას, არამედ ორ საფრთხეს შორის. მოცემულ ეტაპზე, მისი აზრით, შეუძლებელია ითქვას, რომელი ამ საფრთხეთაგანი – ამერიკული თუ რუსული უფრო მეტად საშიშია საქართველოსთვის. გამოსავალი მდგომარეობს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის მკვეთრ ამაღლებაში.

პროფესორმა **ლევან ოსიძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ მოცემულ ეტაპზე არასასურველია საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსის მკვეთრი ცვლილება და დასავლეთიდან მთლიანად რუსეთზე გადართვა. უფრო მისაღებია დაბალანსებული პოზიციის დაკავება, რათა არსებობდეს რუსეთის ფედერაციასთან პოლიტიკური ვაჭრობის წარმოების საშუალება, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების პროცესის პარალელურად. ამავე დროს, მან გამოთქვა ვარაუდი, რომ იმ რესპონდენთა უმრავლესობა, რომლებმაც გამოკითხვის დროს არ დააფიქსირეს საკუთარი აზრი, ნატოს წინააღმდეგ იქნებიან განწყობილნი.

პროფესორი **ხათუნა ჩაფიჩაძე** დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მათი უმრავლესობა, ვინც გამოკითხვის დროს პასუხს არ იძლეოდა, ნატოს მიმართ უფრო სკეპტიკურ პოზიციაზე დგას. მან აღნიშნა, რომ ქართული საზოგადოება მთლიანობაში კონსერვატულია, პატრიარქალურიც კი, ამიტომ ეს საზოგადოება ფრთხილად ეკიდება ყოველგვარ სიახლეს. ნატოს იდეა დაკავშირებულია ე.წ. დასავლურ ფასეულობებთან, ამიტომ საკითხი ისმის ასე: რამდენად არის ქართული საზოგადოება ამ ფასეულობების მისაღებად? მისი აზრით, ქართულ საზოგადოებაში ღრმავდება ნატოსა და მთლიანობაში დასავლური ფასეულობებისადმი გაუცხოება, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია წინა ხელისუფლების მიერ გატარებული სარეკლამო კამპანიით, რადგან ხელისუფლებით უკმაყოფილება დასავლეთით უკმაყოფილებაში გადაიზარდა.

ნანა დევდარიანმა შენიშნა, რომ ქართული საზოგადოების კონსერვატულობა პარადოქსულადაა გადაჯაჭვული ამავე საზოგადოების მისწრაფებასთან, მიიღოს ყველაფერი უცხოური. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ გარე გამოვლინებებს, ხოლო შიდა კონსტრუქცია უცვლელი რჩება. თუკი ქართველები სიტუაციას ისე აღიქვამენ, რომ ნატო მათი ცხოვრების მომწესრიგებელი ფაქტორია, ეხმარება რაღაც რეფორმების გატარებაში, მაგრამ, ამავე დროს, არ ეხება სიღრმისეულ ასპექტებს, მაშინ ისინი მიიღებენ მას. მაგრამ, ნ.დევდარიანის აზრით, ეს გამორიცხულია, ვინაიდან საქართველოს ამ შემთხვევაში მოუწევს ყველა დასავლური ფასეულობის მიღება.

ბლოგერი, იურისტი **კონსტანტინე ჩიკვილაძე** არ დაეთანხმა ლევან ოსიძეს და გამოთქვა აზრი, რომ საქართველო იმ მდგომარეობაში არ იმყოფება, რომ თავს პოზაში ჩადგომისა და პოლიტიკური ვაჭრობის უფლება მისცეს. სინამდვილეში ქართულმა მხარემ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი, რომელიც მას დაუბრუნებს რუსეთის პატივისცემასა და ადეკვატურობის დაფასებას. ამ ნაბიჯად შეიძლება, მოვიაზროთ ნატოში შესვლაზე უარის თქმა. ამის შემდეგ, ბურთი უკვე ნამდვილად რუსეთის მხარეს იქნება. ანალოგიური მოსაზრებები გამოითქვა ანალიტიკოს დავით ფურცხვანიძის მიერაც.

პროფესორ **გვანცა კოპლატაძის** თქმით, საქართველოს და რუსეთს ერთი და იგივე ფასეულობები აქვთ, რაც საერთო მართლმადიდებელი რწმენიდან გამომდინარეობს. საქართველოს დიდი ნაწილი – ტაო და კლარჯეთი, სადაც არანაკლებ დიდი კულტურის და რელიგიის კერები იყო, ვიდრე დანარჩენ საქართველოში, დღეს იდენტობადაკარგულია, იგი ვერ გადარჩა თურქული იმპერიის შემადგენლობაში. სამაგიეროდ, საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არა მხოლოდ გადარჩა, არამედ გაერთიანდა და გაძლიერდა. ცალკეული რთული ეპიზოდები რუსულ-ქართული ურთიერთობების ისტორიიდან ამ უმთავრეს ფაქტს ვერანაირად ვერ გადასწონის. აქედან გამომდინარე, შეიძლება და აუცილებელია სწორი დასკვნების გაკეთება მომავლისათვის.

**ევრაზიის ინსტიტუტი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# კომპანია, რომელსაც ქვეყნისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია

## პლატინის პრიზი „საერთაშორისო ვარსკვლავი ხარისხისათვის“ – სახელმწიფო ჰოლდინგურ კომპანია „სამთო ქიმიას“

**სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია „სამთო ქიმია“ 2011 წელს საერთაშორისო B.I.D-ის ხარისხის კრებაზე დაჯილდოვდა პრიზით „საერთაშორისო ვარსკვლავი ხარისხისთვის“ პლატინის კატეგორიით.**

**აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს მადრიდში საერთაშორისო შესარჩევმა კომისიამ „სამთო ქიმიას“ მიანიჭა „ევროპის საერთაშორისო ოქროს ვარსკვლავი“ საუკეთესო კორპორაციული იმიჯისა და ხარისხისთვის, 1999 წელს მაღალი იმიჯისა და ხარისხისათვის „სამთო ქიმია“ დაჯილდოვდა საერთაშორისო ხარისხის ვარსკვლავით ბიზნესის მართვის ხაზით. ახლა კი ევროპამ უფრო მაღალი ხარისხის პლატინის პრიზი „საერთაშორისო ვარსკვლავი ხარისხისთვის“ დააჯილდოვა.**






გადაჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ ძალიან დიდია „სამთო ქიმიის“ როლი ქვეყნის საკეთილდღეო სამსახურში. წარმოებულია 53 დასახელების ცეოლითის, დარიშხანის, ბარიტის, გუმბრინის, ანდეზიტის უნიკალური პროდუქცია.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებისთვის ჩატარდა კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ მსოფლიო მასშტაბის მეცნიერები. ეს არის მინერალების მიკროდაფქვის საკითხებზე, ცეოლითების დამუშვების და გამოყენების საკითხებზე, ბენტონიტური თიხების მოპოვების და გამოყენების საკითხებზე, ბარიტის, კალციტის, ანდეზიტის, გუმბრინის დამუშავების და გამოყენების რეკომენდაციებით.

დღესდღეობით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კუვეიტში, კატარში, ომანსა და სხვა ქვეყნებში ცეოლითების დასანერგად და გასაგზავნად.

უნდა მოგახსენოთ, რომ თვის დროზე მრეწველობის სამინისტროში დიდი ყურადღება ექცეოდა მეცნიერების მხრიდან მრეწველობის ყველა დარგის განვითარებას. იქმნებოდა კონკრეტული მიზნობრივი პროგრამები, რომლებსაც დეტალური განხილვის შემდეგ აფინანსებდა მთავრობა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, საინჟინრო აკადემიაში და სხვა სამეცნიერო ცენტრებში დამუშვებულ ტექნოლოგიათა დანერგვას.

**ჩვენი აზრით, საჭიროა, სასწრაფოდ აღსდგეს ფრიად მნიშვნელოვანი ტრადიცია საქართველოს წინსვლისათვის და მეცნიერების განვითარებისათვის.**

ბევრი საკითხი რომლებიც „სამთო ქიმიის“ კედლებში დამუშავდა, წლობით გადაუჭრელი რჩება.

**მაგალითისთვის:** საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორ რაფიელ ჩიქოვანის ხელმძღვანელობით და „სამთო ქიმიის“ თანამონაწილეობით დამუშავდა საქართველოში ელექტრონიკის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფართო გეგმა.

აღიარებულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ოპტიმალური და სწრაფი გზაა მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება, რომლის მთავარი მიმართულებაა, მიკროელექტრონიკა. ამას გვიჩვენებს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის გამოცდილება.

მსოფლიოში მიღებულია, რომ მიკროელექტრონიკის განვითარების დონე ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის და შესაძლებლობების ყველაზე მკვეთრი მაჩვენებელია.

საქართველოს მეცნიერების, ტექნიკის და მრეწველობის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი პერსპექტიული დარგი, რომლის განვითარებას შეუძლია დიდი სარგებლობა მოიტანოს როგორც სამეცნიერო-ტექნიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, არის ელექტრონიკა, კერძოდ მიკროელექტრონიკა. განსაკუთრებულია მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფისა და მეცნიერების მრავალი დარგების აღორძინების საქმეში. მიკროელექტრონიკის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთაგან აღსანიშნავია:

**— მიკროელექტრონიკა პატარა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ყველაზე სწრაფი გზაა (ირლანდიის, ტაივანის, კორეის და მრავალი სხვა ქვეყნის მაგალითი);**

**მიკროელექტრონიკა ყველაზე მომგებიანი დარგია (დახარჯულ 1$-ზე იძლევა 20-24$ მოგებას, ხოლო საბოლოო პროდუქტში –100$);**

**მიკროელექტრონიკა ერთ-ერთ მეტად მეცნიერებადტევადი დარგია, ელემენტური ბაზაა საინფორმაციო ტექნოლოგიების, გამოთვლითი ტექნიკის, კავშირგაბმულობის და სხვა დარგებისათვის.**

**— მიკროელექტრონიკა მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესის განვითარების კარგი საშუალებაა.**

**საქართველოში მიკროელექტრონიკის არსებობის თითქმის 40 წლის განმავლობაში შეიქმნა მძლავრი სამეცნიერო და სამრეწველო პოტენციალი, გამოიზარდა კვალიფიციური სამეცნიერო, საინჟინრო და საწარმოო კადრები; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსებულია კათედრები და შექმნილია შესაბამისი სპეციალობები მიკროელექტრონიკაში.**

**მიკროელექტრონიკის დარგში მიღებული შედეგები აღიარებული იყო საერთაშორისო მასშტაბით, გაცემული იყო მრავალი ათეული პატენტი.**

**სამწუხაროდ, ამჟამად მიკროელექტრონიკა კრიზისულ მდგომარეობაშია. სსგ „მიონი“ დაშლილია, თითქმის ყველა ობიექტი გაყიდულია, შეწყვეტილია თითქმის ყველა კავშირი. საქართველოს მთავრობის საყურადღებოდ!!**

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს არც ერთ ქვეყანაში არ განვითარებულა მიკროელექტრონიკა ქვეყნის ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერის, მისი მარეგულირებელი როლის გაძლიერების და ფართო პროტექციონისტური პოლიტიკის გატარების გარეშე. მიგვაჩნია, რომ ამ დარგის განვითარებისთვის საქართველოში უნდა გატარდეს მიზანმიმართული საინვესტიციო პოლიტიკა და მიღბულ იქნას ღონისძიებები დარგის ასაღორძინებლად, რისთვისაც მიზანშეწონილია დამუშავდეს მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამა, აუცილებლად მიგვაჩნია, შეიქმნას ახალი ტექნოლოგიების საბჭო. ვფიქრობთ, საჭიროა მთავრობის სხდომაზე მოსმენილ იქნას საკითხი მიკროელექტრონიკის მდგომარეობის და მისი განვითარების შესახებ, აგრეთვე ჩატარდეს საპარლამენტო მოსმენა.

ამავე დროს ვფიქრობთ, რომ კომპანია „სამთო ქიმიის“ ფარგლებში განახლდეს (ეს დარგი მთლიანად მოსპობილია) დარიშხნის მოპოვება, გადამუშავება და ზესუფთა მეტალური დარიშხანის მიღება ელექტრონიკისთვის, ფოსფორიტების მოპოვება, ასევე გადამუშავება და მისი გამოყენება, როგორც ელექტრონიკისთვის, ისე სოფლის მეურნეობისთვის. კვარცისა და ფოსფორიტების ისევე, როგორც დარიშხანის მარაგები საქართველოში მნიშვნელოვანია.

**გვინდა განათლების და მეცნიერების მინისტრის ბატონ გ.მარგველაშვილის ყურადღება მივაპყროთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს.**

მოგახსენებთ, რომ „სამთო ქიმია“ წლების განმავლობაში მუშაობდა და მუშაობს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

კერძოდ, მისი ყურადღება გუსურს მივაპყროთ „სამთო ქიმიის“ მიერ კრასნოდარის მხარის სოფელ პლასტუნკაში (სოჭის რაიონი) მცხოვრები ქართველების (გადასახლებული იყვნენ რაჭა-ლეჩხუმიდან-400 კომლი) ბედ-იღბალს.

90-იან წლებში „სამთო ქიმიამ“ თავისი ინიციატივით, სახსრებით, ტექნიკითა და მუშახელით პლასტუნკაში მცხოვრებ ქართველებს აუშენა სკოლა, სპორტდარბაზი, სასადილო, საქვაბე, კეთილმოაწყო ეზო. სკოლას, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა ჩვენი მონაწილეობით, დღესაც აქვს ქართული წარწერა – „აშენებულია სამთოქიმიელთა მიერ პლასტუნკელი ქართველებისათვის“.

სკოლის აშენებამ გამოიწვია პლასტუნკელთა დიდი მადლიერება, დამყარდა კავშირი მოსახლეობასთან, გაიგზავნა მოსწავლეებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოები. იქ ტარდებოდა ქართული კულტურის დღეები, ლიტერატურული საღამოები. პლასტუნკელები ჩამოდიოდნენ სასწავლებლად თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. აქტიურობდა განათლების სამინისტრო, პრესა. ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა სტატიები პლასტუნკელი ქართველების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. იყო მყარი კავშირები და დახმარება, მაგრამ ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში მომხდარი მრავალი გარდაქმნის შედეგად ბევრი რამ მიეცა დავიწყებას. მათ შორის პლასტუნკელებთან ურთიერთობაც.

ვფიქრობთ, საჭიროა აღდგეს კავშირი პლასტუნკელებთან. აღნიშნულის შესახებ, ბატონო გიორგი, ორჯერ მივმართეთ თქვენდამი დაქვემდებარებულ სამინისტროს (ჯერ კიდევ 2005 და და 2010 წელს), მაგრამ პასუხიც კი არ მიგვიღია.

**გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს, რათა შედგეს სპეციალური პროგრამა და გაიგზავნოს დელეგაცია პლასტუნკაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან კავშირების აღსადგენად, რაშიც ჩვენი კოლექტივი დიდი სიხარულით მიიღებს მონაწილეობას.**

საქართველოში, გურიის რეგიონში არის ერთი ლამაზი მთაგორიანი სოფელი მთისპირი (ოზურგეთის რაიონი), რომელიც გამორჩეულია არა მარტო იქ მცხოვრები კოლორიტული ხალხით, არამედ ცნობილია უაღრესად სასარგებლო წიაღისეულით, უმაღლესი ხარისხის ბენტონიტური თიხებით. აღნიშნული წიაღისეული მოიპოვება სოფელ მთისპირის ციხისუბანზე, თიხების დამუშავებისას მიიღება სხვადასხვა სახის პროდუქცია: საყალიბე ბენტონიტი მეტალურგიისათვის და მანქანათმშენებლობისთვის, საბურღი ხსნარებისთვის გეოლოგიაში, ფხვნილი ღვინის მრეწველობისთვის, ბენტონიტი ქიმიური მრეწველობისთვის და საკვები და ტექნიკური ზეთების გასაწმენდად. ოზურგეთის ბენტონიტური თიხების ბაზაზე საქართველოს ფარმაკოლოგიის ინსტიტუტმა დაამზადა და დანერგა 30-მდე სხვადასხვა სახის სამკურნალო საშუალება.

ზემოთ აღნიშნული პროდუქციას „ასკანგელის“ სახელწოდებით აწარმოებდა ოზურგეთის მაღაროთა სამმართველო (პრივატიზაციის შემდგომ სს “ასკანიტი“), რომლის წარმადობაც იყო 100 ათასი ტონა წელიწადში. აღნიშნული პროდუქცია იგზავნებოდა როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში, ისე საზღვარგარეთ. მაგალითად: რუსეთის ფედერაციაში საავტომობილო ქარხნებში („ტოლიატი“, „კამაზი“, „ზილი“, „მაზი“) 50 ათას ტონამდე. კვების მრეწველობის საწარმოებს მიეწოდებოდა 2 ათას ტონამდე აქტივირებული ბენტონიტი „ასკანიტი“ ზეთების გასაწმენდად და ა.შ.

სწორედ იმის გამო, რომ პროდუქცია თავისი ხარისხით ძალზე გამორჩეულია და ბაზარზე მოთხოვნილების მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს, მისი წარმოებით დაინტერესდა ბერძნული კომპანია „Silver end Baryte Ores Mining Co.S.A.“ აღნიშნულმა კომპანიამ 1998 წელს აუქციონის წესით შეიძინა შპს“ასკანის“ 97,7%-იანი წილი და საპრივატიზაციო პირობებით იკისრა ბენტონიტური თიხების გაფართოებული ასორტიმენტით წარმოება.

ამ მიზნისათვის წილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით (მუხლი 6) მას უნდა განეხორციელებინა 500 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია და საწარმოო სიმძლავრეები სამი წლის განმავლობაში განახლებული ტექნოლოგიით 60 ათას ტონამდე უნდა გაეზარდა. უნდა მოეპოვებინა და გამოეშვა სხვადასხვა დასახელების ბენტონიტური თიხები. ამასთან ერთად ნაკისრი ჰქონდა კარიერზე და მის გზებზე გარემოს დაცვითი ეკოლოგიური ღონისძიებების განხორციელება, ასევე ადგილობრივი კადრების (მინიმუმ 80 კაცი) წარმოებაში დასაქმება და ა.შ.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ვაიინვესტორმა არც ერთი საპრივატიზაციო და საინვესტიციო პირობა არ შეასრულა. პროდუქციის წარმოება ფაქტობრივად დაკონსერვებული აქვს. საწარმო ამჟამად მთლიანად გაჩერებულია, ამას ემატება მისი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სახელმწიფო ვალდებულებებთან დაკავშირებით, პრობლემები აქვს სახელმწიფო საშემოსავლო სამსახურთან.

**აღვნიშნავთ რა ქართული ბენტონიტური თიხების წარმოების და მასთან დაკავშირებულ ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო ეკონომიკური სტრატეგიის დიდ მნიშვნელობას, ჩვენი წინადადებაა, რომ სამთავრობო დონეზე განხილულ იქნას ბერძნული კომპანიის საქმიანობა, სამართლიანად ჩამოერთვას წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზია და საწარმო სამართავად დაუბრუნდეს „სამთო ქიმიას“.**

გამოცდილება, ინტელექტუალური და ეკონომიკური ბაზა ჩვენ საშუალებას მოგვცემს, დავიბრუნოთ გასაღების რეალური ბაზარი, რომლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეგვიძლია ვაწარმოოთ ყოველწლიურად 100 ათასი ტონა (10 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების) სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ბენტონიტური თიხები, აგრეთვე წარმოებისა და მომსახურების სფეროში დავასაქმოთ 350-მდე ადამიანი, განვავითაროთ პარალელური სამეწარმეო და სოციალური ინფრასტრუქტურა და სხვა.

**უნდა მოგახსენოთ, რომ მნიშვნელოვანი ადგილი სამთო ქიმიის სამრეწველო საწარმოთა შორის უკავია ბუნებრივ ცეოლითების წარმოებას. მისი გამოყენების პრაქტიკულად მეურნეობაში დანერგვის საკითხებზე ჩვენთან ერთად მრავალ სამუშოს ატარებდა და ატარებს საქართველოს ქიმიისა და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტი (დირექტორი ანდრონიკაშვილი).**

ცეოლითების ისტორია საქართველოში ფაქტიურად დაიწყო იმით, რომ გახლდით იაპონიაში, სადაც იაპონიის ეკონომიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცეოლითებს. 70000 ტონას უშვებენ იაპონელები და მთლიანად მოიხმარება წყლის გასაწმენდად, ქაღალდის მრეწველობაში და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ჩამოვიტანე დეტალური ინფორმაცია და მათი სარეკლამო ფურცლები ცეოლითების გამოყენებაზე, ხოლო შემდგომ წიგნიც კი გამოვუშვით, სახელწოდებით „ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების იაპონური გამოცდილება“. ცეოლითების გამოყენების მისი დანერგვის შესახებ, ქიმიისა და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტთან ერთად მრავალი საკავშირო, ტექნიკური კონფერენცია ჩატარდა,



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# გამოვიყენოთ რეალური შესაძლებლობები!



რომელთა რეკომენდაციები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ფართოდ იქნა გამოყენებული.

**რას წარმოადგენს ბუნებრივი ცეოლითი?**

ბუნებრივი ცეოლითები, რომელთაც მოიპოვებს და გადაამუშავებს „სამთო ქიმიის" „საქცეოლითის" წარმოება კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში, ფართოდ გამოიყენება სახალხო მეურნეობის მრავალ სფეროში.

**ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება კარგ ეფექტს იძლევა რადიაქტიური ხსნარებიდან ცეზიუმ-137 იზოტოპების გამოსაყოფად.**

**სწორედ ეს თვისება იქნა გამოყენებული ჩერნობილში, სადაც თითქმის 80000 ტონა საქართველოს ცეოლითი მოხმარდა ჩამდინარე წყლების გაწმენდას რადიაქტიური ელემენტებისაგან და ეფექტიც მნიშვნელოვანი იყო.**

**მნიშვნელოვანია ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება სოფლის მეურნეობაში, როგორც ცნობილია, სასუქების შეტანისას მათი გარკვეული რაოდენობა ჩაირეცხება ჩამდინარე წყლებით. ცეოლითებთან ერთად გამოყენების შემთხვევაში კი დანაკარგები მინიმუმამდეა შემცირებული, რადგან ცეოლითებს შესწევთ უნარი, შეითვისონ და შემდეგ ფესვთა სისტემის მეშვეობით თანდათანობით გადასცენ მცენარეს.**

**გამოიყენება ასევე ნიადაგის ხარისხის გასაუმჯობესებლად — განსაკუთრებით ქვიშნარი მიწების ცეოლითებთან შერევით მათ ნაყოფიერ მიწებად გადასაქცევად.**

**ეფექტურია ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება კომბინირებულ საკვებში. მათი 10-15%-ის რაოდენობით საკვებში დამატება ცხოველებში და განსაკუთრებით ფრინველებში იწვევს საჭმლის მონელების გაუმჯობესებას, ორგანიზმის გაწმენდას და სიცოცხლისუნარიანობის მომატებას, აგრეთვე კვერცხის ნაჭუჭის სიმტკიცის ზრდას, წონის მატებას.**

**საყურადღებოა აგრეთვე ცეოლითების გამოყენება ფერმებიდან ჩამდინარე წყლების გასაწმენდად. ამ შემთხვევაში გაბინძურებული წყლის გაწმენდა ხდება როგორც ამიაკისგან, ასევე სხვა მავნე მინარევებისგან. თავის დროზე ბუნებრივი ცეოლითები გამოიყენებოდა ისეთ დიდ მეფრინველეობის ფაბრიკებში, როგორებიც იყო კინდღის, გამარჯვების, ნორიოს და სხვა.**

**საერთოდ ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება უნდა ხდებოდეს ყველა სამრეწველო საწარმოებში, სადაც ნარჩენებში არის და შემდგომ კი ჩამდინარე წყლებში ხვდება ქრომი, რკინა, დარიშხანი, თუთია და სხვა მძიმე და რადიაქტიური ელემენტები.**

**ნიადაგში ცეოლითების დამატება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდასთან ერთად ზოგავს მინერალურ სასუქებს.**

**ნიადაგში კლინოპტილოლითის შეტანით (0,5-2 ტ. 4 ჰექტარზე) და აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაცვით აღწევენ მოსავლიანობის გაზრდას, მაგალითად სტაფილოსი — 63 პროცენტით, ბადრიჯნის — 55 პროცენტით, ხორბლის — 15 პროცენტით, ვაშლის — 28 პროცენტით, სიმინდის — 10 პროცენტით, ბრინჯის — 35-34 პროცენტით, პამიდვრის და წიწაკის — 33 პროცენტამდე.**

**ცეოლითები ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო ფართობებში შეტანილი სასუქების ხანგრძლივ შენარჩუნებას და მათი მოქმედების ეფექტურობის ამაღლებას. ცეოლითი შეაქვთ გაფხვიერებულ ნიადაგში 100 კვ.მ. ზედაპირზე 1 ტონის ოდენობით.**

ამჟამად, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ მიზნად დაისახა სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ უნიკალური ნედლეულის ჩართვა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს მიერ აღებული კურსის განხორციელებას.

**ვთხოვთ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაავალოს შესაბამის სამსახურებს ჩვენთან ერთად განიხილონ საქართველოში არსებული ბუნებრივი ცეოლითების გამოყენების საკითხი როგორც სოფლის მეურნეობის ასევე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.**

როგორც აღნიშნული იყო ცეოლითების გამოყენების სფერო მრავალმხრივია და თუ ამუშავდება წარმოების საწყის ეტაპზე, წელიწადში 30000 ტონის რაოდენობით (1 ტონა 100 ლარი) მოგვცემს 3 000 000 ლარს. შეიქმნება არანაკლებ 50 სამუშაო ადგილისა, ხოლო საწარმოს სრული ამოქმედების შემთხვევაში ეს ციფრები რამდენჯერმე გაიზრდება.

**კიდევ ერთი!** საქართველოს ზოგიერთ რაიონში როგორც ჰაერი, ისე ნიადაგი, წყალი საკმაოდ არის დაბინძურებული სხვადასხვა მავნე ნივთერებებით. წარმოიდგინეთ, მტკვარში და მის შენაკადებში როგორი წყალი ჩაედინება საავადმყოფოებიდან. მათ შორის ტუბერკულოზის, სამრეწველო საწარმოებიდან, ქიმიური საწარმოებიდან და სხვა, რომელთა უმეტესობაში არავითარი ფილტრები არ მუშაობენ, ლამის მტკვარმა იყვიროს, — ხალხო, მიშველეთ, ვიხრჩობი ამ სიბინძურეშიო! **მტკვრის დაბინძურებას ხელს უწყობს განსაკუთრებით დიდი რაოდენობის აზოტოვანი ხსნარების ჩადინება, ეს ხსნარები მიედინება გარდაბნის გამწმენდ ნაგებობაში, რომელშიც თითქმის არაფერი არ იწმინდება, ჩაედინება მტკვარში, რომელშიც აზოტის შემცველობა ძლიერ გაზრდილია.** აზერბაიჯანის მთავრობამ მრავალჯერ გააპროტესტა ეს გარემოება. მრავალჯერ მივმართეთ ბუნების დაცვის და ეკონომიკის სამინისტროს არა მარტო მტკვრის გაწმენდის ღონისძიებების შესახებ, არამედ მაშავერას (ბოლნისის რაიონში), რიონის, კვაისის ტყვია-თუთიის ნარჩენებისგან გასაწმენდად, ყვირილის — მანგანუმისგან. ჩვენმა მეცნიერთა ჯგუფმა (მეც მივიღე მონაწილეობა) დაამუშავეს ყვირილის მანგანუმის ნარჩენებისგან გაწმენდის კონკრეტული გეგმა. ჭიათურაში 6 ქარხანა მუშაობს მანგანუმის გადამუშავებაზე და ექსივე დაახლოებით 1-მეტრიანი დიამეტრის მილიდან ღვრის მანგანუმის ნარჩენებიანი წვრილდეპრესიული მანგანუმის წყალს.

ჩვენი ტექნოლოგიით, რომელიც რადიკალური შემსქელებლების დადგმის, სედიმენტაციის დაჩქარებისა და ნალექში კარგი პროცენტული რაოდენობის ზრდისათვის არარეაგენტული (მაგნიტური, ელექტრული ან ულტრაბგერითი სეპარატორები და რეაგენტული პოლიაკრილამინის მეთოდების გამოყენება), ხოლო ამ ტექნოლოგიის ბოლოში ცეოლითური ფილტრების დაყენების რეკომენდაციას იძლევა, როგორც ვფიქრობთ, მოგვცემს დაახლოებით 1 მლნ ლარის დამატებით პროდუქციის გამოშვების საშუალებას.

**თუ რამდენად საჭიროა მრავალი სხვადასხვა მავნე ელემენტით წყლების დაბინძურებული გასუფთავება, ამას ნათლად ასახავს მდინარე მაშავერას, მდინარე რიონის და როგორც მოგახსენეთ, განსაკუთრებით მდინარე ყვირილას გასუფთავების აუცილებლობა.**

ჭიათურის გარშემო ეკოლოგიური სიტუაცია დაძაბულია და ეს დაძაბულობა კარგა ხანია გასცდა რეგიონის საზღვრებს. მანგანუმის მაღალპროცენტული შემადგენლობის გამო, მდინარე ყვირილას მანგანუმით დაჭუჭყიანების, შემდგომ მისი მდ. რიონში გადადინების გამო, პრობლემის გადაჭრის დაყოვნება, როგორც ვფიქრობთ არა მარტო მე, არამედ დასავლეთ საქართველოს მთელი საზოგადოება, არ შეიძლება. **აუცილებელია ჭიათურის საბადოს საკითხზე მომუშავე სპეციალისტებისაგან დაკომპლექტდეს სამეცნიერო საწარმოო ჯგუფი, ჩატარდეს მანგანუმის მოპოვების, გადამუშვების და რეალიზაციის საკითხებზე სამეცნიერო ტექნიკური კონფერენცია საქართველოში მომუშავე სპეციალისტების მონაწილეობით, რომელიც შექმნის სამუშო პროგრამას საბადოს რაციონალური გამოყენების და ეკოლოგიური პრობლემების დასაძლევად.**

**სს „სამთო ქიმიაში" შედგა და განხორციელდა სოციალური განვითარების მრავალწლიანი პროგრამა. მარტო ის რად ღირს, რომ მასში მომუშავე 6000-ზე კაცმა ბინა მიიღო, აშენდა საავადმყოფო, 6 პოლიკლინიკა, საბავშვო ბაღები, სკოლები, სპორტდარბაზები, 2 სტადიონი და მრავალი სხვა სიკეთე, რაც ხალხს მნიშვნელოვნად გამოადგა.**

**წინადადება შემომაქვს, რომ გარემოს დაცვის, ეკონომიკის, ქალაქების გამგეობათა მონაწილეობით შედგეს სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის ყველა სახის ჩამდინარე წყლის შემადგენლობას და პარლამენტის შესაბამისი კომისიის კონტროლის ქვეშ დანერგავს შესაბამის ღონისძიებებს.**

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა თიბისი ბანკმა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მამუკა ხაზარაძის ხელმძღვანელობით კიდევ ერთი კეთილი საქმე იკისრა ქ. თბილისის შემოგარენში, ლისის ტბის გარშემო დასასვენებელი და სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით გვინდა გაუწყოთ, რომ ლისის ტბის წყალი დაბინძურებულია სხვადასხვა ქიმიური, ბიოქიმიური და სხვა ელემენტებით, როგორიცაა მძიმე მეტალები, ქრომი, ნიკელი, მანგანუმი, აგრეთვე აზოტი, ფოსფორი და ეს გარემო საშიშია სიცოცხლისთვის, ბანაობისთვის, თევზჭერისა და წყალჯომარდობისთვის გამოუყენებლად უნდა იქნეს მიჩნეული.



ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ მივმართეთ ლისის ტბის ადმინისტრაციას, ვინაიდან შესწავლილი იქნა ლისის ტბაში როგორც ჩამდინარე, ასევე გამდინარე წყლების სისუფთავე, ყოველდღიური სანიტარიულ-ჰიგიენური ლაბორატორიების კვლევისა და დასკვნების შედეგად. ავუხსენით მათ ცეოლითების საშუალებით წყლის გაწმენდის შესაძლებლობანი და ვთხოვეთ, ჩვენთან ერთად დაემუშავებინათ ცეოლითური ფილტრების საშუალებით ლისის ტბაში ჩამდინარე წყლების გაწმენდა. მაგრამ მიუხედავად შეპირებისა ამ საკითხს ყურადღება არ მიაქციეს.

**„სამთო ქიმია" გთავაზობთ თავის სამსახურს ლისის ტბის გაწმენდის ღონისძიებათა დასამუშავებლად, კვლევების ჩასატარებლად, რეკომენდაციების გასაცემად და ცეოლითებით მომარაგებას.**

**იმედი გვაქვს, რომ ბატონი მამუკა, როგორც ცნობილი მეცენატი და საქართველოს უდიდესი პატრიოტი გამოგვეხმაურება და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.**

ეკოლოგიისადმი მიძღვნილ სპეციალურ და პოპულარულ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირებით გაჭუჭყიანების თემატიკა. ატმოსფეროში მოხვედრილი ტოქსიკური ნაერთების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტის წარმომავლობისაა. გამონაბოლქვი აირები 200-ზე მეტ სხვადასხვა ნაერთს შეიცავს. ეს არის CO, $NO_2$, ნახშირწყალბადები, ტყვიის მაღალდისპერსული ნაწილაკებისაგან შემდგარი აეროზოლი და სხვა. ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირები მაღალი ტოქსიკური ქიმიური ნაერთები ქმნიან ადამიანის ორგანიზმისათვის მეტად საშიშ ქიმიურ გარემოს. ასევე მაღალტოქსიკურია სამრეწველო წარმოების მიერ გამონაბოლქვი აირები ისეთები, როგორიცაა რუსთავის აზოტი, მეტალურგიული კომბინატი, მადნეულის გამამდიდრებელი კომბინატი, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა და სხვა და სხვა. ჩვენს მიერ დამუშვებული იქნა ბუნებრივი ცეოლითების ბაზაზე სამრეწველო წარმოებების და შიდა წვის ძრავების ტოქსიკური ნივთიერებებისაგან გაწმენდის საშუალებები, რომლებიც გამოიყოფა გამონაბოლქვ აირებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მონაცემებით საქართველოში 800 ათასამდე მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა მოძრაობს. მათ შორის, საკმაოდ დიდი ნაწილი ქ. თბილისში და მათ მიერ გამონაბოლქვი მავნე აირების რაოდენობა უზარმაზარია.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს მრავალსახოვანი მუშაობა ავტომობილების გამონაბოლქვი მავნე აირების გასაწმენდად და სპეციალური ფილტრების დასამზადებლად ეს პრობლემა მაინც გადაუჭრელია. არსებობს პლატინა-პალადიუმის ფილტრები, რომლებიც საკმაოდ ძვირია. **საქართველოში თბილისის სახ.უნივერსიტეტის პროფესორის ბატონ შოთა სიდამონიძის ხელმძღვანელობით გამფილტრავ მასალად ძვირადღირებული პლატინა-პალადიუმის მაგივრად გამოყენებულია საქართველოს ბუნებრივი ცეოლითი, რომელიც 3-4-ჯერ იაფია ზემოხსენებულ გამფილტრავ მასალაზე. ჩატარებულია ლაბორატორიული სამუშაოები, მიღებულია დადებითი შედეგები, საჭიროა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა.**

განსაკუთრებით ძლიერი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი ავტომობილების და სამრეწველო წარმოებების მიერ გამონაბოლქვი აირების გაწმენდას ექნება ქალაქ თბილისში, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი რელიეფის სპეციფიკა, საჰაერო აუზის სუსტი ბუნებრივი ცირკულაცია ქმნის გამონაბოლქვი აირების ქალაქში დაგროვების რეალურ საშიშროებას. თბილისში ტოქსიკურ და კანცეროგენული ნივთიერებების შემცველობა მათ სრულ დასაშვებ კონცენტრაციებს მნიშვნელოვნად აღმატება. ჰაერის დაბინძურების ჯამური მაჩვენებელი თბილისის უმეტეს რაიონში 10-დან 16%-მდეა (ჩუღურეთი, საბურთალო, გლდანი, დიდუბე), რაც იწვევს მრავალ დაავადებას განსაკუთრებით ბავშვებში, ეს არის ალერგიული დაავადება, ბრონქიალური ასთმა, პოლინოზი, ატიპური დერმატიტი, ურიტიკარია და სხვა.

ერთ დროს ქ. თბილისის საკრებულომ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ პრობლემას. შედგა თბილისის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამა ზემოთ მოყვანილ საკითხებზე. დამუშავდა საკრებულოს ბუნების დაცვის განყოფილებაში და შეტანილი იქნა განსახილველად, მაგრამ დაფინანსების (უქონლობის გამო სულ საჭირო იყო დაახლოებით 900 ათასი ლარი), პროგრამა არ განხორციელდა.

**ვფიქრობთ, რომ საჭიროა თბილისის მერია და საკრებულო კვლავ დაუბრუნდნენ ამ საკითხს და გამოყონ შესაბამისი დაფინანსება.**

„სამთო ქიმიური" მრეწველობა, როგორც მოგეხსენებათ, მოიცავდა მრავალ დარგს: გუმბრინის წარმოება, გუმბრინი გამოიყენებოდა ზეთების გასაწმენდად. ბარიტისა და კალციტის მოპოვება და გადამუშვება, საუკეთესო ხარისხის კალციტი, რომელიც საქართველოში მოიპოვებოდა, მსოფლიო ბაზარზეც კი ქებას იმსახურებდა. ბენტონიტური თიხები მრავალი დარგის გამოსაყენებელი. ანდეზიტი მისი ნაწარმი და ფქვილი თავისი მჟავაგამძლე თვისებების გამო ბევრი ქიმიური წარმოების კომპონენტი იყო.

**როგორც მოგახსენეთ 53 სახის პროდუქცია გადიოდა სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე და განსაკუთრებით რუსეთს მრავალ ორგანიზაციაში.**

**ვფიქრობთ, კარგი იქნება, რომ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნას მრეწველობის საკითხებით დაინტერესებული მძლავრი ჯგუფი (და არა ერთი და ორი კაცი, რომელიც აქამდე იყო), რომელიც დეტალურად შეისწავლის საქართველოს ყველა ყოფილი საწარმოს მდგომარეობას და დასახავს ღონისძიებებს მათ ასამუშავებლად.**

**და, ბოლოს, მახსენდება ცნობილი უდიდესი ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის ჰანგები ცნობილ ლექსზე:**

**წუთისოფელი ასეა,**
**დღეს ღამე უთენებია,**
**რაც, მტრობას დაუნგრევია,**
**სიყვარულს უშენებია.**
**გამგებმა გაიგოს.**

**ნიკოლოზ ცხაკაია**

**ს.ს „სამთო ქიმია-2000"-ის გენერალური დირექტორი; საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი; სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# არის კი ივანიშვილი იმდენადვე არადემოკრატი, რამდენადაც მისი წინამორბედი იყო?

მიუხედავად იმისა, თუ რას ამტკიცებს რამდენიმე დასავლური საინფორმაციო საშუალება, პასუხი არც იმდენად ერთმნიშვნელოვანია.

1 ოქტომბერს საქართველოში არჩევნები ჩატარდა. ყველას გასაოცრად, მმართველი პარტია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც სათავეში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას, ახლადშექმნილ კოალიციასთან – ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებასთან“ დამარცხდა. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო გარემო უაღრესად უსამართლო, ძალიან დამთრგუნველი იყო, ხოლო წარსულში ადგილი ჰქონდა რევოლუციურ გადატრიალებებს.

არჩევნებზე უამრავი ქართველი მივიდა. მთავრობამ იმდენად გამანადგურებელი მარცხი განიცადა, რომ მიუხედავად თავისი მზარდი ავტორიტარულობისა, იძულებული გახდა, ძალაუფლება დაეთმო. და მოხდა ის, რაც მსოფლიოს ამ კუთხეში სასწაულს უდრის, სააკაშვილმა დათმო იმ ძალაუფლების ძირითადი ნაწილი, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში დაჟინებით უყრიდა თავს. არჩევნები მოულოდნელ და წარმატებულ დემოკრატიულ გარღვევად გამოცხადდა – სწორედ ეს წარმოადგენდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს 1980-იანი წლებიდან. დემოკრატიამ უცვალა სახე ხმელთაშუაზღვისპირა ევროპას, აღმოსავლეთ აზიას და აფრიკასაც კი, მაგრამ ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში აქამდე ამგვარი არაფერი მომხდარა.

მაგრამ არჩევნებიდან ორი თვეც არ იყო გასული, რომ ზოგიერთი შფოთში ჩავარდა. ნატოს და ევროკავშირის მაღალჩინოსნებმა, რომელთაც ზურგს პრესტიჟული გაზეთები უმაგრებდნენ, ვითომდა მისი არადემოკრატიული საქციელის გამო, ახალი მთავრობის დატუქსვა იწყეს. „ვაშინგტონ პოსტმა“ ივარაუდა, რომ ჩვენ მოწმენი ვხდებით „რუსული ტიპის ავტოკრატიისკენ უკუსვლისა“ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ საქართველო საქციელს არ გამოასწორებს, „საქართველოს ახალი ლიდერი ვაშინგტონში კარგად არ უნდა მიიღონ“. „ეკონომისტი“ წერდა, „ივანიშვილი ისევე ცუდად იქცევა, როგორც, მისივე თქმით, იქცეოდა სააკაშვილი“.

საქმე ეხებოდა ივანიშვილის მთავრობის მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალური პირების დაპატიმრებას, რაც ზოგიერთი გარეშე დამკვირვებლის აზრით, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის შეუფერებელ, ცალმხრივ პოლიტიკურ რეპრესიებს წააგავდა. მაგრამ, მოდი, ეს საკითხი უფრო ყურადღებით განვიხილოთ: ივანიშვილს არავინ მოუკლავს, განსხვავებით სააკაშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, რომელმაც 2006 წელს სანდრო გირგვლიანი მოკლა. მას არავინ უწამებია და არავინ გაუუპატიურებია, რაც, როგორც ნაჩვენები იყო, სააკაშვილის მმართველობისას ქართულ ციხეებში ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა. ივანიშვილს არავისთვის ჩამოურთმევია ქონება ორდერის გარეშე. ის არავის უწევდა შანტაჟს, მას არავინ გაუტაცებია და არავისთვის ჩაუდია ნარკოტიკები. ახალ პრემიერ-მინისტრს არ დაურბევია მშვიდობიანი დემონსტრაციები, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა 2007 წლის ნოემბერში, არც პოლიციის სპეცრაზმი გაუგზავნია დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და მათი აღჭურვილობის დასარბევად. მას არ წაურთმევია სამაუწყებლო კომპანიები მფლობელებისთვის, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა თავისი ფსევდოკანონიერი მანევრებით.



თერთმეტთვიანი კამპანიის განმავლობაში ივანიშვილს არასდროს გაუცია ბრძანება მისი ელექტორალური ოპონენტის განადგურების შესახებ. ასეთი რამ სააკაშვილმა გააკეთა, ძველი პრემიერ-მინისტრის მტრების წინააღმდეგ კიბერშპიონაჟიც გამოიყენა და პოლიტიკური ოპონენტები 125 მილიონი დოლარითაც დააჯარიმა. თუ „ვაშინგტონ პოსტის“ რიტორიკას გამოვიყენებთ, სწორედ ივანიშვილი ემსხვერპლა ამ „ბინძურ ხრიკებს“.

როგორც ჩანს, მსოფლიო ორმაგ სტანდარტებს იყენებს და ახალ, დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას უფრო სასტიკად განსჯის, ვიდრე ადამიანის უფლებათა ჯიუტ დამრღვევებს, რომლებიც ქართველებმა სულ ახლახან ჩამოიცილეს.

რეალურად, თუ სხვა თვალით შევხედავთ, ივანიშვილის მთავრობას მართლაც ჰქონდა მიამიტური სურვილი, ემოქმედა ისე, როგორც ეს დასავლურ დემოკრატიებშია მიღებული: დაკავებულს თავის უფლებებს უკითხავდნენ, ურეკავდნენ მის ადვოკატს და აქვეყნებდნენ ჩვენებებს – ამ პროცედურულ სტანდარტებს ადრე არ იცავდნენ. სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, საჯარო მოსამსახურეები, თვით სოფლის სკოლის მასწავლებლებიც კი, მის პარტიაზე მუშაობდნენ. „ქართული ოცნების“ მთავრობამ, ყველა, ვისაც მინისტრის მოადგილეზე დაბალი თანამდებობა ეკავა, სამსახურებში დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი, ალბათ, დღემდე ლოიალურია ძველი მთავრობისადმი. ივანიშვილმა პირობა დადო, რომ წესრიგში მოიყვანს მთავრობას და 18 თვეში თანამდებობას დატოვებს. „ქართულმა ოცნებამ“, მალევე, მთავრობის ფორმირების შემდეგ, დაითხოვა კარგად ანაზღაურებული ლობისტების არმია. სააკაშვილი არასდროს მოქცეულა ასე და მისი ლობისტები არიან პასუხისმგებელნი ამ ბოლოდროინდელ ქარიშხალზეც.

არჩევნებში დამარცხების შემდეგ, სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბრძოლის ახალ ველს მიაგნეს, ეს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრია. ისინი საქართველოს კანონიერად არჩეულ მთავრობას ქვეყნის გარეთ რეპუტაციას ულახავენ და ამით ქვეყნის შიგნით ამ მთავრობის დამარცხებას იმედოვნებენ.

საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური ბრძოლის გადატანა, გავრცელებული პრაქტიკაა წაგებული ოპოზიციური მოძრაობებისთვის. მაგრამ უფრო ხშირად ამ მეთოდს აქტივისტები იყენებენ და რეპერესიულ მთავრობებს უფლებადაცვით ორგანიზაციებში უჩივიან. აქ კი პირიქით ხდება, რეპრესიული მოძრაობა საერთაშორისო საზოგადოებას იმ ადამიანებზე უჩივის, ვინც პოლიტიკურ პროტესტს გამოთქვამდა, სამართლიანად მოიგო არჩევნები და მიზნად სააკაშვილის უსამართლობის გამოსწორება დაისახა, ხოლო საერთაშორისო საზოგადოებაც პირდაპირ უშვებს წყალს სააკაშვილის წისქვილზე.

არის კი მართლა ეს დაპატიმრებები ისეთი, როგორადაც მას „ფაინენშალ თაიმსი“ აღწერს – „წმენდა“, „მზარდი კამპანია“ და „დაპატიმრებების ტალღა“? ასეთივე შთაბეჭდილებას ტოვებდა უოთერგეითსის და დრეიფუსის საქმეები. მაშინაც სხვადასხვა ჯგუფში სკანდალმა იფეთქა, რადგან მთავრობა ცდილობდა ეს საქმეები მიეჩქმალა. მთავრობის წასვლას დაპატიმრებების „სერია“ და „ტალღა“ მოჰყვა. როდესაც ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ მიჩქმალული ბნელი საიდუმლოებები მჟღავნდება (ისე, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა ამას), ხოლო ოპოზიცია რეაგირებას იწყებს, ეს შეიძლება წააგავდეს „ანგარიშსწორებას პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ“, როგორც განაცხადა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონმა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ კრიტიკოსები ამ შემთხვევაში თავად პოლიტიკის არსს აკრიტიკებენ. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება ბევრ რამეს მალავდა. ახლა, როდესაც გამოძიება დაიწყო, ისინი განგაშს ტეხენ. თუმცა, ეს ყველაფერი თავის დროზე ვიღაცას რომ არ დაემალა, ახლა აღარაფერი იქნებოდა გასამჟღავნებელი.

აქედან, თბილისიდან, დასავლური მთავრობების რისხვა ცუდად ჩანს. ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს დასავლეთი ძველ მთავრობას უჭერს მხარს. ეს შთაბეჭდილება მცდარია, მით უფრო თუ იმას გავიხსენებთ, რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აშშ-ის მთავრობამ საარჩევნო კამპანიისას, როდესაც ნაწილობრივ გაათავისუფლა ტელევიზია, წინ აღუდგა „ქართული ოცნებისათვის“ ყველაზე საშინელი ჯარიმების დაწესებას და დაარწმუნა სააკაშვილი იმაში, რომ მარცხი ეღიარებინა. მაგრამ ეს ყველაფერი, მანამდე სანამ ქართველების მეხსიერებაში დაფიქსირდება, კორექტირებას მოითხოვს.

დასავლეთთან შერწყმის ზერელე ენთუზიაზმის მიღმა, საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია საბჭოთა ნოსტალგიის, ანტიამერიკული განწყობებისა და ევროპისადმი უნდობლობის დიდი მარაგი. თუ ქართველები ირწმუნებენ, რომ მათი ბოლო მცდელობა დემოკრატიულ სამყაროსთან მიერთებისა, აბუჩად აიგდეს, ზემოთ ნახსენები, ანაქრონისტული ელემენტები გაძლიერდება. საქართველოს ამჟამინდელი დემოკრატიული წინსვლა ძალიან მყიფე რამაა, ხოლო ნატო და შეერთებული შტატები იმ ყველაზე ძლიერ ფაქტორთა შორის არიან, რომელთაც შეუძლიათ მოვლენათა პოზიტიური განვითარება უზრუნველყონ. ახლა იმის დრო არ არის, რომ ეს გავლენა შესუსტდეს.

**ჩარლზ ფერბენქსი,**
**„theatlantic.com“**

## დედამიწის ზურგზე



**შობის წინ ამერიკელებმა შეიძინეს იარაღი და ვაზნები რამდენიმე წლისთვის**

იარაღით მოვაჭრეები აღნიშნავენ, რომ ზამთრის დღესასწაულების წინ ყოველთვის იზრდება იარაღის გაყიდვა. მაგრამ წელს მყიდველები გაცილებით მეტია: ბევრ მცხოვრებს შეეშინდა ნიუტაუნში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, სადაც დაწყებით სკოლაში ბევრი ადამიანი დახვრიტეს, სხვებმა გადაწყვიტეს შეეძინათ ცეცხლსასროლი იარაღი ობამას დაპირების შემდეგ, შეზღუდოს მისი ბრუნვა.

* * *

**სამგზავრო თვითმფრინავი, რომელშიც ათობით მგზავრი იყო, მძიმედ დაჯდა მიანმიში ბრინჯის ყანაში, გადატყდა შუაზე და გზად მოტოციკლისტი მოკლა**



თავდაპირველად იტყობინებოდნენ, რომ ინციდენტის შემდეგ ერთი კაცი დაიკარგა უგზო-უკვლოდ. შემდეგ დაკარგული აღმოაჩინეს გარდაცვლილი – მსხვერპლი გახდა 11 წლის გოგონა, სულ ბორტზე 60 კაცი იყო, მათი უმრავლესობა უცხოელი ტურისტია. თვითმფრინავი დაეშვა ხმელეთზე უახლოეს აეროპორტამდე სულ რაღაც სამ კილომეტრში.

* * *

**თეთრმა სახლმა რუსული „ანტიმაგნიტსკის კანონის“ პასუხად შეაჩერა ხელმოწერის შეგროვება მრისხანე პეტიციაზე**



სულ სამი პეტიცია იყო: ამერიკის „მაგნიტსკის“ სიაში იმ თანამდებობის პირთა, ვისაც წილი მიუძღოდა ამ კანონის მომზადებაში, სახელმწიფო დუმის იმ დეპუტატებისა, რომლებმაც მას ხმა მისცეს, აგრეთვე პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის შეყვანის შესახებ, თუ იგი მას ხელს მოაწერს. მხოლოდ ერთმა მათგანმა გადალახა საჭირო ხმების ოდენობის მინიმუმი და ორჯერ მეტიც კი მოაგროვა.

* * *

**მაკედონიის ბიუჯეტის დამტკიცება პარლამენტში ჩხუბით დამთავრდა**

წესრიგის დამცველები აკავებდნენ ხალხის ნაკადებს, რომლებიც გამოდიოდნენ როგორც რესპუბლიკის 2013 წლის ბიუჯეტის მხარდასაჭერად, ისე მის წინააღმდეგ. ბრბო ცდილობდა შენობაში შეჭრას. თავად პარლამენტში მმართველი კოალიციის დეპუტატები წაეჩხუბნენ ოპოზიციას, რომელმაც დაბლოკა სხდომათა დარბაზი. ბიუჯეტი მიიღეს, ოპოზიციის ლიდერმა აჯანყებისკენ მოუწოდა.






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ⓞ თარიღი



# ქველმოქმედება დიდი ძალაა!

## 20 წლიწადი – მშობელი ხალხის გვერდით და მის სამსახურში

**საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ 20-წლიანი საქმიანობა შეაჯამა. ამ საზეიმო დღეს მათ ვაშლოვანის ქუჩაზე წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ბინა-სამლოცველომ უმასპინძლა.**

„20 წელია, ფურცელ-ფურცელ ვკინძავთ, მისხალ-მისხალ ვაგროვებთ ყველაფერს, რაც ჩვენს საქმიანობას უკავშირდება და ვქმნით ისტორიას, რომელიც საზოგადოების ნაწილია, დროისა და ვითარების ანარეკლია. ორგანიზაციის საინტერესო და მრავალრიცხოვანი მოღვაწეობა ღირს გადასახედად, მომავლის უკეთ დასაგეგმად“, – აღნიშნა საღამოზე ასოციაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა მაია კვეზერელი-კოპაძემ.

მისივე თქმით, 90-იან წლებში, 1992 წელს, როცა მთელი სიმწვავით დაისვა სოციალური პრობლემები, ჩამოყალიბდა მათი ასოციაცია.

ჯანმრთელობა, განათლება, კულტურა, სოციალური სფერო, ეკოლოგია... – ყველა ეს სფერო სამოქმედო არეალად გადაიქცა ქველმოქმედი ქალბატონებისთვის.

ორგანიზაციის პირველი პრეზიდენტი იყო ქალბატონი ნანული შევარდნაძე – ქვეყნის გამორჩეული მეთაურის გვერდით გამორჩეულადვე მოღვაწე უღელტოლი.

ასოციაციის გაზეთი „მშვიდობა ყოველთა“ – 20 წლის საქმიანობის მატიანეა, სადაც ასახულია მათი საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულება:

საერთაშორისო ფორუმები, შეხვედრები, კონტაქტები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დიალოგები „მრგვალი მაგიდის“ გარშემო; მრავალშვილიანი ოჯახებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარება; აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა შეწევნა; უმწეო და მარტოხელა ხანდაზმულთა თანადგომა; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინვალიდთა ეტლების დარიგება (სტატია „დაუბრუნდათ სიცოცხლის ხალისი“); ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და ქუჩის ბავშვებზე ზრუნვა; სახელოვანი მამულიშვილების დაფასება (სტატია „ჩვენი სულის იკებანას გადასარჩენად“), ჯანმრთელობის გრძელვადიანი პროგრამები (მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ექიმთა მობილური ბრიგადები, ტუბერკულოზით და ლეიკემიით დაავადებული ბავშვების, დიაბეტის პროგრამებში მონაწილეობა), ეკლესია-მონასტრების დახმარება; საგამომცემლო საქმიანობა (წიგნები, ბუკლეტები).

**„მთელი 20 წლის მანძილზე ჩვენი ასოციაციის მთავარი პრიციპი იყო: „ხილულ მოყვასზე თუ არ ვიზრუნეთ, ვინც ჩვენ გვერდით დგას, მაშინ არასოდეს გვეყვარება უფალი“. არა მხოლოდ გაჭირვებულებს ვეხმარებოდით, არამედ იმათაც, ვისაც რაღაც იდეა ჰქონდა და მისი განხორციელებისათვის შეწევნა სჭირდებოდა. დახმარების გზა არ არის შეზღუდული, იგი ყოველთვის თანხის გაცემას არ გულისხმობს.**

**მაგრამ რამდენად შედეგიანები ვიყავით დახმარებისას? შევძელით, საჭიროების მქონეს იმგვარად დავხმარებოდით, რომ რეალური და გრძელვადიანი შედეგი გამოეღო? – ამაზე პასუხს თავად ის ადამიანები გაგვცემენ.**

**არა მხოლოდ გაჭირვებულებს თანავუგრძნობდით და ვედექით გვერდში, არამედ იმათაც, ვისაც რაღაც იდეა ჰქონდა და მისი განხორციელებისთვის თანხა სჭირდებოდა.**

**20 წლის მანძილზე არ ვეგუებოდით უზნეობას. თანამოაზრეებთან ერთად ვმსჯელობდით, ვკამათობდით. ნააზრევი გამოგვქონდა სამსჯავროზე და დავრწმუნდით, რა შეუძლია საზოგადოებრივ ორგანიზაციას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში და დემოკრატიზაციის პროცესების სრულყოფაში. ჩვენი შესაძლებლობა არ ამოწურულა. ვსაქმიანობთ და კვლავ გავაგრძელებთ. მთავარ პრინციპად დავიტოვებთ ქველმოქმედებას. ვივლით ასე, ამ გზით. ღრმად გვწამს, რომ მშვიდობა და კეთილდღეობა იქნება ჩვენი მუდმივი მეგზური.**

**არ ჰკითხო საკუთარ თავს, რას აკეთებს შენი სამშობლო შენთვის, არამედ ჰკითხე, შენ რას აკეთებ მისთვის,“ – დაასრულა გამოსვლა ქალბატონმა მაია კოპაძე-კვეზერელმა.**

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ: ქალბატონი ნანული შევარდნაძის ოჯახის წევრები, ასოციაციის წევრები არსებობის პირველივე დღიდან, რეგიონული ორგანიზაციისა და ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები, ბავშვთა დაწესებულებების მესვეურები, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ღირსეული წარმომადგენლები, ექიმთა მობილური ბრიგადების უცვლელი წევრები, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი საპატიო ქალბატონები, მოსწავლეთა სასახლის ანსამბლი „მზიური“, სასახლის მევიოლინეები, საპატიო ქალბატონები, საპატრიარქოს და სასულიერო აკადემიის წარმომადგენლები, საპატიო სტუმრები და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის – ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ფონდის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო მამარდაშვილი, რომელმაც უანგაროდ დაუთმო მათ დარბაზი.



სიმბოლურია, რომ ასოციაციის 20 წლის იუბილე სწორედ აქ, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში აღინიშნა, სადაც ეროვნული საუნჯის უბადლო ქომაგი და მისაბაძი მამულიშვილი ბოლო რვა წელი ცხოვრობდა.

ასოციაციის თანათავმჯდომარემ, ქალბატონმა **ნელი გურგენიძემ** ყურადღება გაამახვილა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობაზე და დასძინა, რომ დადგა დრო, შეიქმნას წიგნი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიღწევებზე. სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ქალბატონი **ნინო მანჯავიძე,** ქალთა საბჭოს სახელით, აკადემიკოსი **ეთერ ქემერტელიძე,** საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **გუგული მაღრაძე,** საქართველოს ბაირონის საზოგადოების თავმჯდომარე, თსუ სრული პროფესორი **ინესა მერაბიშვილი,** საქართველოში მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტი **ევა ბაბალაშვილი-ხუხაშვილი,** ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **ნათელა პატარკაციშვილი,** ენათმეცნიერი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი **შუქია აფრიდონიძე,** აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი **სვეტლანა ქეცბა,** დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი **რამაზ ყურაშვილი,** პოეტი **მზია ხეთაგური...**

20 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ღონისძიებათა შორის, ასოციაციის გამგეობამ ჩაატარა საუკეთესო ესეის გამოსავლენად კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტები. კონკურსის დევიზი იყო: **„სიცოცხლე ხარობს მშვიდობით, მშვიდობა სიყვარულია“.** ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ცნობილი პოეტი, გაზეთ „ქართული სიტყვის“ მთავარი რედაქტორი **ჯანსუღ ჩარკვიანი,** პროფესიონალ ქალთა ასოციაციის თავმჯდომარე **ნანული ჭავჭანიძე,** ლიტერატურულ ჟურნალ „ხელეურის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი **თამარ შაიშმელაშვილი,** შეაფასა ახალგაზრდების შემოქმედება.

ესეების კონკურსის შედეგები გამოაცხადა ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა. მან და ნანული ჭავჭანიძემ გადასცეს გამარჯვებულებს დიპლომები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები. ქალბატონმა ნინო მამარდაშვილმა კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებს გადასცა გურამ შარაძის წიგნი: „ასე იწყებოდა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი – თაყაიშვილი“.

კონკურსში გამარჯვებულმა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტმა **სალომე გორგოშიძემ** საკუთარი ესეი წაიკითხა.

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა პოეტმა მედეა კახიძემ დაარსების ოცი წლისთავი ასოციაციას ლექსით მიულოცა, რომელზეც კახა ცაბაძემ სიმღერა დაწერა და იგი ასოციაციის ჰიმნია. ეს და კიდევ ერთი სიმღერა იმ დღეს ანსამბლმა „მზიურმა“ შეასრულა (ხელმძღვანელი – გურამ ჯაიანი). საიუბილეო საღამოში მონაწილეობდა მოსწავლეთა სასახლის მევიოლინე გოგონათა ანსამბლი (ხელმძღვანელი – ლენა ცარციძე).

ასოციაციას იუბილე სიმღერით მიულოცა ქალბატონმა თამარ ჭოხონელიძემ. ხოლო ჯანსუღ ჩარკვიანმა წაიკითხა ცნობილი ლექსი „ერთის პირობით“. აღსანიშნავია, რომ საიუბილეო საღამოს მსვლელობის დროს დარბაზში ასოციაციის 20 წლის მუშაობის ამსახველი ფოტოები უჩვენეს.

7 დეკემბერს ასოციაციასთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ფრთა (თავმჯდომარე – თეონა დევდარიანი), რომელშიც გაერთიანდნენ სტუდენტები, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, მოსწავლეებმაც გამოთქვეს გაწევრიანების სურვილი.

**ასე რომ, ეს საღამო შეჯამებასთან ერთად შეხვედრაც იყო იმ ადამიანებთან, ვისთან ერთადაც, წლების მანძილზე, ასოციაციის წევრები უხმოდ, უანგაროდ და გულწრფელად საქმიანობდნენ. ქველმოქმედება დიდი ძალაა, რომელიც აკავშირებს და აერთიანებს – სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და მისწრაფებების ადამიანებს. ქველმოქმედება გრძელდება და გრძელდება კავშირი ამ მადლით გამორჩეულ ადამიანებს შორის.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

ⓞ ალიან-ჩალიანი

# „ტფილისის ჰამქარი“ მერიას მიმართავს

**ქალაქ თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარი“ დედაქალაქის მერიასა და მეთოდური საბჭოს წევრებს მიმართავს, არ გასცეს მშენებლობის ნებართვა გუდიაშვილის მოედანთან დაკავშირებულ პროექტზე.**

**როგორც „ტფილისის ჰამქარის“ წარმომადგენელმა თამარ ამაშუკელმა განაცხადა, „ირაო-მაგნატ გუდიაშვილის“ მიერ მეთოდურ საბჭოზე დასამტკიცებლად შედის გუდიაშვილის მოედანი 31/23 საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი.**

**– აღნიშნული პროექტი უგულებელყოფს ძეგლთა დაცვის პრინციპებს და სრულად ეწინააღმდეგება ტრადიციულად ჩამოყალიბებული ისტორიული ქსოვილის განვითარების ინტერესებს. ვინაიდან, გუდიაშვილის მოედანთან დაკავშირებით, არსებობს მომეტებული საჯარო ინტერესი, რაც არაერთხელ დაფიქსირებულა სხვადასხვა აქტივობების სახით და მიმართული იყო გუდიაშვილის მოედანზე ჩამოყალიბებული ურბანული ქსოვილის, ისტორიულ ქუჩათა ქსელისა და გეგმარების გადასარჩენად, გთხოვთ, გამოიჩინოთ პრინციპულობა, გამოხატოთ თქვენი მოქალაქეობრივი პოზიცია და არ გასცეთ მშენებლობის ნებართვა აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით, – ნათქვამია „ტფილისის ჰამქარის“ მიმართვაში.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ოცი წლის შემდეგ

# მას ნოყიერი ნიადაგი დახვდა

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია საერთაშორისო ორგანიზაციაში 1992 წელს ბუდაპეშტის კონგრესზე გაწევრდა რუს და ბალტიისპირელ კოლეგებთან ერთად.**

**იქიდან მოყოლებული, ჩვენს კალმოსანთა პროფესიულ გაერთიანებას ძველი ლელოელი ელგუჯა ბერიშვილი თავკაცობდა.**



განვლილმა ოცმა წელიწადმა მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ ფაქტი მოიცვა, რომელთაგანაც განსაკუთრებულად უნდა მოვიხსენიოთ ქართველ ოლიმპიელთა წარმატებებისადმი მიძღვნილი სქელტანიანი ნაღვაწის, მათ შორის შესაბამისი ენციკლოპედიის გამოცემა, აგრეთვე ტრადიციად დამკვიდრებული სეზონის გამორჩეულ სპორტსმენთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალების რიტუალი. აღარაფერს ვამბობთ მთელ რიგ ქართველ ჟურნალისტთა აკრედიტაციით უზრუნველყოფაზე უმაღლესი რანგის ტურნირებზე (ოლიმპიადები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები), რაც ასევე სსჟა-ის ძალისხმევით ხერხდებოდა.

და აი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად მიწვეული ბატონი ელგუჯა გუშინ ოფიციალურად გამოეთხოვა უწინდელ თანამდებობას და უკვე ყოფილი სტრუქტურის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე გვიხმო.

ხომ იცით, საქართველოში ყველას პირველობა უნდა, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სსჟა-ის პრეზიდენტობას 4 მსურველი გამოუჩნდა.

მათგან ყველაზე ღირსეული კენჭისყრას უნდა გამოევლინა, თუმცა მას შემდეგ, რაც სეოკ-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა პაატა ნაცვლიშვილმა საკუთარი კანდიდატურა ჟურნალ „ათიანის" რედაქტორის გიორგი გორგოძის სასარგებლოდ მოხსნა, ამ უკანასკნელის შანსები საგრძნობლად გაიზარდა. მიზეზი ბანალურია — მისი უკომპრომისო ხასიათი და თანამოაზრეთა შემოთავაზებული გუნდის შემადგენლობა (ვიცე-პრეზიდენტები ბიძინა ბარათაშვილი და ირაკლი თავაძე, გენერალური მდივანი — ილია ბაბუნაშვილი).

ხმის მიცემის პროცედურამ დაადასტურა მოლოდინი — გიორგი გორგოძე 46 ხმით სსჟა-ის მეორე ხელმძღვანელი გახდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ ოთარ გიორგაძემ 29 დელეგატის ნდობა მოიპოვა, ხოლო გაზეთ „ლელოს" მიმომხილველმა დავით თავართქილაძემ 4 ხმით ოლიმპიურ დევიზს უერთგულა — „მთავარია მონაწილეობა" (2 ბიულეტენი ბათილად ცნეს).

ასე რომ, ახალი ერა ქართულ სპორტულ მედიაშიც დაიწყო — შეგახსენებთ, რომ წლეულს ბატონი გიორგი გორგოძე გაზეთ „ქართულ ოცნებასაც" რედაქტორობდა.

**გია პლატონიშვილი**

ტყვიის სროლა

# ჩემპიონი - კვლავაც მიუწვდომელი



**ოლიმპიური თამაშების სამივე სინჯის მედლის კავალერი ნინო სალუქვაძე შინ თუ გარეთ შეჯიბრებებზე თავს მოდუნების უფლებას არ აძლევს. ნებისმიერი სპორტსმენისთვის მისაბაძია მისი შემართება, ჟინი და კვარცხლბეკისკენ ლტოლვა. დასტურად პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში თბილისის თასის ღია გათამაშებაც კმარა, რომელიც ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში გაიმართა.** პირველობისთვის თბილისისა და ქუთაისის 25 ჩუბინი იბრძოდა ახალი წესებით, რაც დროის შემცირებულ რეგლამენტს გულისხმობს. ქალებში უძლიერესი იყო ნინო სალუქვაძე, რომელმაც შესარჩევი ეტაპი პირადი რეკორდით — 393 ქულით მოიგო, მათ შორის ფინალში 97,6 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ 490,6 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე-მესამე ადგილები თამილა ასათიანმა (466,7!373(93,7) და მეგი ქადაგიძემ (459,9!367(92,9) დაიკავეს. ვაჟებში 662,5 (565(97,5) ქულით პირველობა არავის დაუთმო ლევან ქადაგიძემ. გამარჯვებულს 2,3 ქულით (561(99,2) ჩამორჩა ზურაბ კვირიკაშვილი, რომელსაც მე-2 ადგილი ხვდა. 647,7 ქულით (552(95,7) მესამე იყო ჯუმბერ ოქრუაშვილი (ყველა-თბილისი).

**ახალგაზრდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გოგონები.** 1.ლიზი კილაძე (ქუთაისი, 362), 2. ქეთი შედანია (თბილისი, 357), 3. მარი მაღრაძე (თბილისი, 347). **ბიჭები.** 1. ომარ სანოძე (თბილისი, 560), 2. გიორგი რამიშვილი (ქუთაისი, 550), 3. ვლადიმერ მაიოროვი (თბილისი, 547).

**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# შერმადინი ელადაში ბრუნდება

**ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, თელ-ავივის „მაკაბის" ხელმძღვანელობას საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრის გიორგი შერმადინის სხვა გუნდში გაშვება სურდა. ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა რუსული „კრასნიე კრილია", თუმცა გუშინ გაირკვა, რომ შერმადინი კარიერას „ოლიმპიაკოსში" გააგრძელებს.** ასე რომ, საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრელი გიორგი შერმადინი ევროლიგის და საბერძნეთის მოქმედი ჩემპიონის „ოლიმპიაკოსის" ღირსებას დაიცავს. აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს პირეოსელთა ოფიციალური ვებგვერდიც, სადაც ასევე ვკითხულობთ, რომ ქართველი გიგანტი ბერძნულ გრანდში მიმდინარე სეზონის ბოლომდე ითამაშებს.



სპორტი და პოლიტიკა

# დსთ-ის შოუ ინტერესმოკლებულია

**„გაზპრომის" ხელმძღვანელის ალექსეი მილერის იდეა — ჩატარდეს დსთ-ის საფეხბურთო ჩემპიონატი, რუსეთისთვის მეტად მნიშვნელოვანი ხდება, რაზეც მიუთითებს საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარები. ეს აქტუალური თემაა რუსული საფეხბურთო სამყაროსთვის, რაშიც ერთხელაც გვარწმუნებს ცსკა-ს პრეზიდენტის ევგენი გინერის ახლანდელი განცხადება. მისი თქმით, უახლოეს ხანებში გაცხადდება დსთ-ის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცის ვინაობა.**

„ვფიქრობ, ამ კვირაშივე დავაზუსტებთ საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის ვინაობას. მისი მოვალეობა ისაა, რომ დაინტერესებულ მხარეებს განსახილველად გააცნოს კონკრეტული პროექტი. აბა, უამისოდ მოლაპარაკებები როგორ უნდა ვაწარმოოთ? დავძენ, რომ უკრაინელ კოლეგებთან მოლაპარაკებებს ახალი წლის შემდეგ შევუდგებით.

მინდა გესმოდეთ: რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის რეგლამენტში წერია, რომ ასეთი საკითხები მარტივად - უმრავლესობით წყდება, ანუ ცხრა ხმით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკითხთან დაკავშირებით უკვე გვაქვს ათი კლუბის მხარდაჭერა", — „სპორტ-ექსპრესთან" საუბარში აცხადებს გინერი.

დსთ-ის ჩემპიონატზე საუბრისას რუსული მხარე ხშირად მიუთითებდა იმაზე, რომ მასში მონაწილეობის სურვილი უკრაინელებსაც აქვთ. შესაძლოა, რამდენიმე კლუბი ასეთი ჩემპიონატის ჩატარებას მიესალმება კიდეც, მაგრამ თუ „ტავრიას" ნახევარმცველს მაქსიმ კალინიჩენკოს მოვუსმენთ, უკრაინაში დსთ-ის ჩემპიონატი არავის არ აინტერესებს.

„აშკარაა, ასეთი იდეა მხოლოდ ყველაზე მდიდარი კლუბებისთვისაა საინტერესო. პირადად ჩემთვის ასეთი ლიგის შექმნა სპორტული პრინციპებისა და ლოგიკის დარღვევაა. ქვეყნის ჩემპიონატი ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ ვითარდებოდა, რომ გარდაქმნილიყო NHL ან რუსეთის ჰოკეის ლიგის მსგავს პროექტად? შესაძლოა, ეს სანახაობრივიც ყოფილიყო და საინტერესოც, ანუ კარგი წარმოდგენა დადგმულიყო. მაგრამ უკრაინაში, როგორც მე ვხედავ და ვგრძნობ, ეს თემა განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევს. არაა დიდი დაინტერესება", — კალინიჩენკოს სიტყვებს იშველიებს „სოვეტსკი სპორტი".

და ბოლოს, საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელებმა დსთ-ის ჩემპიონატში მონაწილეობაზე აქედანვე უარი თქვეს — ეროვნული პირველობები უნდა მოვამძლავროთო.

news.ge

რეგიონი

# ქველმოქმედის ხსოვნისა

**ვეტერანი ფალავნის ბიჭიკო მარიდაშვილის ინიციატივითა და საგარეჯოს სასპორტო გაერთიანების მხარდაჭერით რაიონის ჭიდაობის დარბაზში პირველად გათამაშდა სპორტის ოსტატისა და ქველმოქმედის მიხეილ არჩუაძის ხსოვნის თასი (მთავარი მსაჯი — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი) თავისუფალ ჭიდაობაში. საასპარეზოდ მასპინძლებთან ერთად თბილისის, აფხაზეთის, რუსთავის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, კასპის, ონისა და ამბროლაურის 11-15 წლის 200-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი ორ ასაკობრივ ჯგუფში. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:**

**1999-2001 წლებში დაბადებულნი.**

**23 კგ.** 1. იგორ აფციაური (გლდანი), 2. სოსო მელაშვილი (საგარეჯო), 3. ოთარ კოშარიძე (ამბროლაური), გიორგი აბულაშვილი (რუსთავი).

**26 კგ.** 1. შამილ გაჯიევი (ყვარელი), 2. გიორგი გოგრიჭიანი (ამბროლაური), 3. მაგამედ მაგამედოვი (ყვარელი), გიორგი ფიფია (რუსთავი).

**29 კგ.** 1. მირზა გაჯიევი, 2. დავით ქაქალაშვილი, 3. თემურ თვალიშვილი (სამივე — ყვარელი), თორნიკე გელაშვილი (რუსთავი).

**32 კგ.** 1. ნიკო გოგრიჭიანი, 2. ბექა იაშვილი (ორივე — ამბროლაური), 3. გიორგი შათირიშვილი (საგარეჯო), მაგამედ მალამაგამედოვი (ყვარელი).

**35 კგ.** 1. გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური), 2. ზალუთხან საიდოვი, 3. თორნიკე ბერძენიშვილი (ორივე — ყვარელი), გიგი მელაშვილი (ამბროლაური).

**38 კგ.** 1. ვლადიმერ გამყრელიძე (ამბროლაური), 2. დანიელ მარქარაშვილი (კასპი), 3. თორნიკე ხებრელაშვილი (საგარეჯო), ნიკა შანავა (თბილისი).

**42 კგ.** 1. ვლადიმერ კაკოშვილი (გლდანი), 2. მევლუდ კაკიაშვილი (კასპი), 3. შალვა მელაშვილი (ამბროლაური), ბაჩუკი არველაძე (გლდანი).

**46 კგ.** 1. გოგა მამიაური (გლდანი), 2. ნიკა მესროფოვი (საგარეჯო), 3. აკაკი გოქსაძე (ამბროლაური), გიორგი სულხანიშვილი (ახმეტა).

**50 კგ.** 1. ნოდარ ბიწაძე (რუსთავი), 2. მირიან მაისურაძე (ონი,) 3. ლევან წიფიანი (აფხაზეთი), გიორგი ჭელიძე (ამბროლაური).

**54 კგ.** 1. გივი გოგობერიშვილი (ამბროლაური), 2. დავით ქოჩქიანი (დიღომი), 3. ლაშა ქიტესაშვილი (ყვარელი), გიორგი ხვედელიძე (გამარჯვება).

**+54 კგ.** 1. ზაალ ფსუტური (გლდანი), 2. შალვა დოხნაძე (ამბროლაური), 3. ივანე გუგეშაშვილი (ონი), თამაზ კვესიაშვილი (კასპი).



**1997-1998 წლებში დაბადებულნი**

**42 კგ.** 1. ლექსო კილაძე (რუსთავი), 2. გიორგი კარატიელი (დედოფლისწყარო), 3. გიორგი მამულაშვილი (ყვარელი), მიხეილ ფირუზაშვილი (დედოფლისწყარო).

**46 კგ.** 1. რატი კილანავა (აფხაზეთი), 2. გიორგი ღვინიანიძე (დიღომი), 3. დავით მახარაშვილი (გლდანი), დიმიტრი ვარდიაშვილი (რუსთავი).

**50 კგ.** 1. ირაკლი ბურდული (დედოფლისწყარო), 2. დავით ფურცხვანიძე (ამბროლაური), ბექა გიგაშვილი, ზაზა შანიძე (ორივე — გლდანი).

**54 კგ.** 1. გიორგი ყაზარაშვილი (კასპი), 2. რობერტ დინგაშვილი, 3. ლევან მამუკიშვილი (ორივე — ყვარელი), ლევან ინასარიძე (გამარჯვება).

**57 კგ.** 1. ირაკლი კუპრეიშვილი, 2. გიორგი ჭიკაძე (ორივე — დიღომი), 3. ალეკო სულაშვილი (დედოფლისწყარო), გიორგი ჩუნთიშვილი (საგარეჯო).

**63 კგ.** 1. ირაკლი მენთეშაშვილი (დედოფლისწყარო), 2. სტეფანე ტატალაშვილი (გლდანი), 3. ოთარ გაბელია (თბილისი, ლ. ხაბელოვის სახელობის კლუბი), ნიკა მათიაშვილი (აფხაზეთი).

**69 კგ.** 1. გიგა შიოშვილი (საგარეჯო), 2. ნიკა ბულულაშვილი (კასპი), 3. გიორგი პავლიაშვილი (დედოფლისწყარო), დავით მძელური (აფხაზეთი).

**76 კგ.** 1. ზაურ ბერიძე (გლდანი), 2. ბექა ხუროშვილი (კასპი), 3. გივი ზაუტაშვილი (თბილისი), თორნიკე კიკნაძე (თბილისი, ლ. ხაბელოვის სახელობის კლუბი).

**+85 კგ.** 1. ლევან ბოჭორიძე (საგარეჯო), 2. არაზი ღორჯომელიძე (დიღომი), 3. ზურაბ ბუჯიაშვილი (ყვარელი).

**ლექსო ცინცაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ არქიტექტურა



# საკუთარი „ურბანიზმის კოდი“ გვჭირდება

**მშენებლობა ჩვენი არცთუ „მდგრადად განვითარებადი“ ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დარგი რომ იყო ბოლო წლების მანძილზე, ამას საქსტატისტიც მოწმობს და ჩვენც კარგად ვხედავთ: საკმარისია თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის და სხვა ქალაქთა ლამის ერთიანად შეცვლილი იერ-სახის გახსენება. ამასთან ურბანისტიკა არქიტექტურასთან მჭიდროდ დაკავშირებული, თუმცა სპეციფიური, პრინციპულად განსხვავებული სფეროა, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად არა თუ რიგითი მოქალაქეები ურევენ, არამედ უმაღლესი რანგის ჩინოსნებიც, ვინც კი ამ საქმისთვის პროფესიულად სრული გამოუსადეგრობის და მიუხედავად, აქტიურად ერევა ურბანული განაშენიანებისა თუ არქიტექტურული საკითხების გადაწყვეტაში. თუ რა შედეგი მოჰყვება ყოველივეს, ამას თვალნათლივ ხედავენ თბილისელებიც, ბათუმელებიც, ქუთათურებიც, თელაველებიც და სხვანი.**

**ქვეყნის იერ-სახის დახვეწის ამ უმნიშვნელოვანეს თემასა და ზოგიერთ სხვა საკითხზე ვესაუბრეთ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ცნობილ არქიტექტორს გივი გაბუნიას.**

**— ბოლო დროს ქვეყანაში მომხდარ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძვრებს წინა ხელისუფლების მოღვაწეობის მიმართ არაერთი კრიტიკული შენიშვნა მოჰყვა, მათ შორის უამრავი საყვედური გაისმის ქალაქების ურბანული განაშენიანებისა თუ ახალი არქიტექტურული იერის გამო, რომელიც ცალკეულ შენობა-ნაგებობის თუ კომპლექსის მიმართ გამოითქმება. თქვენი აზრით , ხომ არ გახდა არქიტექტურა პოლიტიკური პიარის ერთ-ერთი კომპონენტი?**

— საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად, თუ გნებავთ, ელემენტარული პოლიტიკური პიარის მიზნით, არქიტექტურას ჯერ კიდევ ეგვიპტელი ფარაონებიდან მოყოლებული იყენებდნენ: პეტრე დიდმა ახალი ქალაქის დაარსებით ევროპაში ფანჯარა გაჭრა (თუმცა კი კარის „დაყოლება“ დაავიწყდა, ან არ ისურვა), იოსებ სტალინმა ხელი შეუწყო საბჭოური ნეოგოთიკის შექმნასა და შემდეგ მოსკოვს სახასიათო სილუეტი შესძინა, არც ბენიტო მუსოლინის დროს შექმნილი არქიტექტურა იყო მოკლებული გარკვეულ ღირსებებს, თუმცა კი ფაშისტური იდეოლოგიის პირქუშობით და სიმკაცრით გამოირჩეოდა. ამდენად, ეს პროცესი, სხვა არაფერი რომ ვთქვა, არახალია...

**— თავად არქიტექტორები სად იყვნენ ამ დროს, ან რას საქმიანობდნენ?**

— როცა არქიტექტურა პიარს ემსახურება, ამ დროს საავტორო ანონიმურობა და პროფესიული დეპერსონიზაცია გარდუვალია. იქნებ მეხსიერება მღალატობს, მაგრამ ბოლო ხანებში თბილისში, ბათუმსა თუ სხვა ქალაქში აშენებული რომელიმე დიდი ობიექტის ავტორი საჯაროდ რომ მოეხსენებინოთ, არ მახსოვს, ჩემი ნათქვამის დასტურად მარტო იმას ვიტყვი, რომ ამჟამად თბილისში, რიყეზე მშენებარე ობიექტის ავტორის ვინაობაც მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ეს „ნაგებობა“ ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიეს.

ზოგადად კი არქიტექტორის სტატუსი ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, საკმაოდ ბუნდოვანია: არა გვაქვს რაიმე კონკრეტული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც მის საქმიანობას არეგულირებდეს: არსებობს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროინდელი სამთავრობო დადგენილება, რომელიც სადღეისოდ არც არავის ახსოვს, თანაც დიდი ხნის მოძველებულია და მნიშვნელოვან გადახალისებას საჭიროებს. ფაქტობრივად, იგივე უნდა ითქვას არქიტექტორთა კავშირის შესახებაც, რომელიც ამჟამად მხოლოდ სიმბოლურად არსებობს და ვერც პროფესიული და ვერც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას თითქმის ვერ ახდენს.

**— თქვენ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე საზღვარგარეთ, კერძოდ, საფრანგეთში მუშაობდით. იქაური არქიტექტორთა კავშირის მუშაობასა და ჩვენებურს შორის თუ არსებობს მსგავსება, ან, გნებავთ, განსხვავება?**

— საფრანგეთში არქიტექტორთა კავშირი, ფაქტობრივად, ერთადერთი ორგანოა, რომელიც სფეროს საქმიანობას არეგულირებს და ავტორთა უფლებებსაც იცავს. საკუთარი ფაქსიმილიანი ბეჭდის გარეშე, რომელიც, ამავდროულად, ლიცენზიასაც წარმოადგენს, არქიტექტორს პროექტის გამოშვების უფლება არა აქვს. ამ მხრივ კი ჩვენში სრული განუკითხაობაა: რომელიც გნებავთ პროფესიის პირს, ან ნებისმიერ ფირმას, პროექტის გამოშვება და მისი განხორციელება შეუძლია, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. უწინ არაერთი სახელმწიფო ორგანიზაცია მოქმედებდა (მაგალითად, მშენებლობის სამინისტრო, სახმშენი), რომელიც ერთგვარი ფილტრის როლს ასრულებდა, ამა თუ იმ ტერიტორიის მშენებლობისთვის გამოყოფის მიზანშეწონილობას ადგენდა, გეგმარებითი და ტექნიკური სტანდარტებისა თუ ნორმების დაცვას უზრუნველყოფდა. ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ მაშინ ყველაფერი იდეალური იყო, მაგრამ, მართალია, გარკვეულწილად ხარვეზებიანი, თუმცა, კი მაინც ჩამოყალიბებული სისტემა არსებობდა, რომელიც სამშენებლო და მასთან დაკავშირებული სხვა პროცესების გაკონტროლების შესაძლებლობას იძლეოდა.

რაც შეეხება საფრანგეთს, იქ არქიტექტურა — გნებავთ, მხატვრობის დარად — სახელმწიფო სტრუქტურებისგან გამიჯნულია. მისი მთავარი სამოქმედო დოკუმენტია ეგრეთ წოდებული „ურბანიზმის კოდი“, რომელიც დარგში მოქმედი ყველა ადმინისტრაციული თუ ნორმატიული აქტისა და დადგენილების კრებულია.

მიმაჩნია, რომ ნამდვილად ურიგო არ იქნებოდა, ასეთი კოდი თუგინდ კოდექსი, ჩვენშიც რომ შემოგველო, ხოლო მის შექმნაში, არქიტექტორებთან ერთად, მონაწილეობა იურისტებს, გეოგრაფებს, გეოლოგებს, სოციოლოგებს, ჰიგიენისტებსა და ზოგიერთი სხვა პროფესიის სპეციალისტებსაც მიეღოთ.

**— და მაინც, რა არის, თქვენი აზრით, ბოლო დროს ზოგადად არქიტექტურაში და, კერძოდ, თბილისის სინამდვილეში დაშვებული შეცდომების მიზეზი? რატომ არ რეაგირებენ ყოველივე უმსგავსობაზე პროფესიონალები, რატომ არ რეკენ განგაშის ზარებს?**

— საიმისოდ, რომ საქმე კალაპოტში ჩავაყენოთ, უწინარესად, უარი უნდა ვუთხრათ სხვადასხვა სახეობის არქიტექტურულ „სიურპრიზებს“. გასანაშენიანებელი ტერიტორიების შერჩევისას მრავალმხრივი ანალიზის ჩატარება და მისი საჯაროობაა საჭირო ეგრეთ წოდებული „ადგილის კონტექსტის“ გათვალისწინებით და, ამავე დროს, ობიექტის ფუნქციონალური დანიშნულებისა და ქალაქგეგმარებითი შეზღუდვების დადგენა.

კიდევ ერთი პირობაა არქიტექტორებისთვის ერთიანად საავტორო უფლებებისა და პირადი პასუხისმგებლობის დონის გაზრდა. ამჟამად, როცა ტენდერები შერჩევით, წინასწარვე ცნობილი შედეგით იმართება, ფორმალური ხასიათი აქვთ, არქიტექტორები სრულიად დაუცველნი და მთლიანად დამკვეთსა და ინვესტორზე არიან დამოკიდებულნი. ასევე უგულებელყოფილია მათი როლი სამშენებლო ტენდერის ჩატარებისას, ანუ მისი განმხორციელებელი ფირმისა თუ ორგანიზაციის შერჩევისას.

**— თქვენ წეღან აღნიშნეთ, რომ არქიტექტურულ შეცდომების სათავე ხშირად ტერიტორიის არასწორად შერჩევაში, „ადგილს კონტექსტის“ უგულუბელყოფაში იმალება. თუ დაასახელებთ ამის კონკრეტულ მაგალითებს?**

— დავიწყოთ თუნდაც ვაკის პარკით, რომელიც შაგრენის ტყავივით პატარავდება და მალე ვაკის ბაღად თუ სკვერად გადაიქცევა. უკრაინის საელჩოს პროექტის ავტორმაც კი ვერ დამალა თავისი გაკვირვება, როდესაც ნახა, რომ მის მიერ დაპროექტებული ნაგებობები პარკში გაჩეხილი ხეების ადგილას უნდა აშენებულიყო. ასევე ვერ გავიმეტებდი სამშენებლო მოედნად სოლოლაკის იმ ქედს, სადაც უწინ საფეხმავლო ხეივანი იყო, საიდანაც ქალაქის და მისი შემოგარენის საუკეთესო ხედები იშლება.



რაც შეეხება ყოფილი ჩოგბურთის კორტების ტერიტორიას, ეს იყო ძალიან საჭირო ბუნებრივი მწვანე ჩანართი მტკვრის გასწვრივ სატრანსპორტო არტერიასა და მდინარეს შორის, რომელიც, საზოგადოების წინააღმდეგობის მიუხედავად, განადგურდა, ხოლო მის ადგილას მუტანტი სოკოსავით ამოიზარდა უმასშტაბო და გროტესკული შენობა.

თუ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას გადავხედავთ, აქაც, უმეტეს შემთხვევაში, სრულიად უგულებელყოფილია როგორც სიმჭიდროვის და სართულიანობის კრიტერიუმები, ასევე ინსოლიაცია და სხვა სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები. ამავე დროს დედაქალაქის მერიას აქვს საკრებულოს მიერ დამტკიცებული და საკმაოდ კარგ დონეზე, ევროპული მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები, რომელთა ქმედითუნარიანობა, სამწუხაროდ, დაბალია.

**— ბატონო გივი, ჩვენი საუბარი პოლიტიკოსებსა და არქიტექტურას შორის კავშირით დავიწყეთ. როგორ მიგაჩნიათ, ამ მხრივ ჩვენს პრეზიდენტს აქვს რაიმე საერთო რომელიმე სხვა ქვეყნების პირველ პირებთან?**

— ამ კითხვას ცოტა პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, მაგრამ მაინც გიპასუხებთ. ჩემი აზრით, ამ მიმართულებით ყველაზე აქტიური ნაბიჯი ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა გადადგა, რომელმაც ახალი დედაქალაქი — ასტანა დააარსა, ხოლო მისი მთავარი ნაგებობა, ეგრეთ წოდებული „მინის პირამიდა“ მსოფლიო არქიტექტურის აღიარებულმა მეტრმა სერ ნორმან ფოსტერმა შექმნა. რაც შეეხება ჩვენში ლაზიკის მშენებლობას, ეს უფრო ავანტიურას ჰგავს, არა მგონია, რომ ეს კარგად გააზრებული წამოწყებაა, თუმცა გამოსავალი აქაც შეიძლება მოიძებნოს.

**— თქვენი აზრით, ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აქტიურად ჩაერევა ამ სფეროში?**

— რამდენადაც ვიცი, არქიტექტურისა და მშენებლობისადმი იგი დიდ ინტერესს იჩენს. უმეტესობა იმ პროექტებისა, რომლებიც მისი ფონდის მიერ იყო დაფინანსებული, ბატონ ივანიშვილის როგორც განხილვის, ასევე კრიტიკული ანალიზის საგანს წარმოადგენდა. დღეს ბევრი იმედი, მათ შორის ამ სფეროში, მის სახელთანაა დაკავშირებული. ზოგი მას როგორც მეცენატს და გულწრფელ პოლიტიკოსს, ზოგიც მის ქონებას აფასებს, მაგრამ ძალიან ბევრი იმ ნიჭსა და ხასიათს უქებს, რომლითაც მან ეს ქონება შექმნა და განკარგავს. ვფიქრობ, ეს თვისებები ჩვენი დარგისთვისაც სასარგებლო იქნება.

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

**განცხადება**

2013 წლის 22 იანვარს 14:30-ზე ჩატარდება სს „ქართული შალის“ აქციონერთა საერთო კრება — მისამართზე, თბილისი ფეიქრების ქ . №4.

დღის წესრიგი:

1. სს „ქართული შალის“ 2012 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები;
2. ქონების ნატურით გაყოფის შესახებ;
3. უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ;
4. 2011 წ. შედეგების მიხედვით დივიდენდების განაწილების და მიღების შესახებ;
5. საწარმოს რეორგანიზაციის შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭო,
დირექტორატი

◉ ინფორმაცია

## პატიმარი ჩამომხრჩვალი იპოვეს

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა 36-ე დაწესებულებაში სავარაუდო სუიციდის შემთხვევა დაფიქსირდა.**

**როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროდან იტყობინებიან, ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციით, მსჯავრდებული თ.კ. უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორმა ჩამომხრჩვალი იპოვა.**

**თ.კ. სასჯელს იხდიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, აცხადებენ სამინისტროში.**

**სამინისტროს ცნობითვე, მსჯავრდებულის ოჯახის წევრებს დაწესებულების ადმინისტრაციამ აცნობა აღნიშნული ფაქტის შესახებ. ამავდროულად, დაუყოვნებლივ მოხდა საგამოძიებო ორგანოების ინფორმირება და ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია უსამძიმრებს მაკა ჯაფარიძესა და როსტომ ჩხეიძეს დედისა და სიდედრის**

**ცისანა გიორგაია-ჯაფარიძის**

**გარდაცვალების გამო.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დედაქალაქი




# საახალწლო პაემანი მუშტაიდის ბაღში

**თბილისელთა ერთ-ერთ უსაყვარლეს დასასვენებელ ადგილს, ცნობილ მუშტაიდის ბაღს, ახალი წლის დამდეგს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა — ძველებურად ერთიანად აივსო მისი ხეივნები ხალხით — მშობლებს, ბებია-ბაბუებს პატარები მოჰყავთ სუფთა ჰაერზე სასეირნოდ და გასართობად.**

ათეულობით წლის მანძილზე მუშტაიდის ბაღი თბილისში კულტურისა და დასვენების ერთ-ერთი გამორჩეული კუნძული იყო შუა ქალაქში — ღია ესტრადით, სადაც საღამოობით სასულე ორკესტრი უკრავდა ხოლმე, მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზით, ნაირ-ნაირი ატრაქციონებით, ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგებით, რომლებიც ცხარედ კამათობდნენ საყვარელი „დინამოს“ ავ-კარგზე თუ კერპების სპორტულ ღირსებებზე. მერე დრო დადგა, როცა ისევე, როგორც ბევრი რამ ქვეყანაში, მუშტაიდის ბაღიც გაჩანაგდა და გავერანდა, აღარც ატრაქციონები იზიდავდნენ პატარებს, აღარც რკინიგზა მოქმედებდა, აღარც მუსიკალური ჰანგები გაისმოდა საღამოობით...

და აი, ახლა, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, გასულ შაბათს, განახლებული ძველი ბაღი საზეიმოდ გაიხსნა, რითაც დიდად გაიხარა დიდმა თუ პატარა თბილისელმა.

— პარკში დაბერებული მცენარეების სანაცვლოდ 250-ზე მეტი ხე და ბუჩქი დავრგეთ, თითქმის მთლიანად განვაახლეთ მოძველებული ატრაქციონები და ახლებიც ავამოქმედეთ, მათ შორის ლაზერული ტირი, კარუსელი მოძრავი ცხენებით, ირმებით, ზზიკებითა და კენგურებით, „ეშმაკის ბორბალი“, კიდევ სხვები გავმართეთ, — გვითხრა ექსკლუზიურ ინტერვიუში პარკის გენერალურმა მენეჯერმა **ირაკლი ბითაძემ**. — ყველაზე აღსანიშნავი კი, ჩემი აზრით, მსოფლიოში პირველი 1200-მეტრიანი საბავშვო რკინიგზის აღდგენაა, რომლით 10-წუთიანი მოგზაურობა ერთიანად გაახარებს ყველა მგზავრს. ასევე ვიზრუნეთ პარკის დიზაინის განახლება-გალამაზებაზე — ხეივნებში წითელი აგურის ფხვნილი დავყარეთ, გაზონებზე ნახევარმეტრიანი მცირე სკულპტურები დავდგით, რომლებიც ბავშვების საყვარელ ზღაპრულ პერსონაჟებს განასახიერებენ, გავხსენით ორი კაფე, სადაც ცხელი კერძებიც არის, მინერალური წყლებიც, ხილის წვენებიც, ნაყინიც. ზაფხულობით ღია ცის ქვეშ კინოთეატრიც იმუშავებს, განახლებულ ღია ესტრადაზე, რომლის მოედანი ფილებით მოვაპირკეთეთ, კონცერტები გაიმართება, იქაურობას კი, ისევე როგორც მთელ პარკს, ახალი ლამპიონები გაანათებს.



მუშტაიდის განახლებული ბაღის უდავოდ ღირსშესანიშნავი სიახლეა პანტომიმის თეატრი, რომელიც ახლო მომავალში გამართავს სპექტაკლებს, ხოლო საახალწლო დღეებში უკვე დადგმული და მორთული ნაძვის ხის ირგვლივ პატარებისთვის მხიარული წარმოდგენები გაიმართება. 10 იანვარს კი მუშტაიდის ბაღს მთაწმინდის ბომბორას პარკიდან იქაური თოვლის პაპა ესტუმრება თავისი სახალისო ამალით.

ზამთრის პერიოდში მუშტაიდის პარკი, სადაც შესვლა უფასოა და რომლის განახლება კერძო ინვესტიციებით განხორციელდა, 11-დან 6 საათამდე, გაზაფხულ-ზაფხულში კი — უფრო გვიანობამდე იმუშავებს.



**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ფრთხილად, ბაზარზე საშიში ძეხვები გამოჩნდა

**პროდუქტების** მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარემ მადონა კოიძემ საგანგაშო ინფორმაცია გაავრცელა.

პროდუქტების მომხმარებელთა ფედერაციამ მთლიანად შეისწავლა ხორცპროდუქტების რამდენიმე სახეობა, ათი ფირმის პროდუქციიდან მხოლოდ 4 აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად ვარგისი საკვებად, ხოლო ექვსი მათგანი ჯანმრთელობისთვის უკიდურესად სახიფათოა.

ათი ნიმუშიდან ათ სერველატში — შპს „კავკასიის“, ქალაქური სერველატი „ლიდერ ფუტის“, სერველატი „ფარვადის“, ნახევარშებოლილი ფირმა „ზეიკიძე“ კვლევის შედეგები დადებითია, ხოლო ლპობის მეტად საშიში ბაქტერია აღმოჩნდა ამ პროდუქტებში: შპს „ახალი ნობათი“, „ხალადეცი“, შპს „ახალი ბალკინი“, ხორცის კუპატი, შპს „როიალ მერიდიანი“, სუჯუკი, ბასტურმა, შპს „ძველი გემო“, უკრაინული „სუთი“, შპს „ჯორჯიან ფუტგრუპის“ სუთი, შპს „გემრიელის“ ძეხვი „ფინური“.

მადონა კოიძის ინფორმაციით, საქართველოში არ არის არც ერთი აკრედიტებული ლაბორატორია, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ანალიზის გაკეთება.

**„რეზონანსი“**

### „ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდება შეთითხნილია“

**— მიაჩნია** ადვოკატ ლალი აფციაურს. — „ციხის ბუნტის“ საქმე მარტო ბაჩო ახალაიაზე არ უნდა გადატყდეს, რადგან ის ვერ გასცემდა პატიმრების ჩახოცვის ბრძანებას... რაც შეეხება ოქრუაშვილის პოლიტპატიმართა სიაში არმოხვედრას, ეს საკითხი შემდეგ სესიაზე განიხილება. ბრალდება იმდენად სუსტია, უფრო სწორად, ისე აშკარად ჩანს, რომ ბრალდება შეთითხნილია, რომ ნათელია საქმეზე პოლიტიკური ინტერესი. რა შეეხება სასამართლოს და მოსამართლეებს, სასამართლოში ისევ სააკაშვილის მოსამართლეები არიან და პროცესიც ისე მიჰყავთ, როგორც სააკაშვილსა და მის გუნდს აწყობს.

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

**— ნიკა, მიშველე, თუ ძმა ხარ! სასწრაფოდ მინდა ათი ვედრო წყალი! — სულს ძლივს ითქვამს მეზობლის ეზოში შევარდნილი მიხო.**

**— კი, მაგრამ შენ ხომ საკუთარი ჭა გაქვს?**

**— კაცო, მასში ჩემი სიდედრი ჩავარდა. ჭაში კიდევ ისეთი ცოტა წყალია, რომ მარტო ნიკაპამდე სწვდება.**

* * *

**ქუჩაში ძალიან ლამაზი ტან-ფეხის მქონე გოგო მიდის, უკან ჭიჭიკია მისდევს, დაეწევა და ეკითხება:**

**— გოგონი, საიდან გაქვთ ასეთი ლამაზი ფეხები?**

**— საჩუქრების მაღაზიიდან, — შემოტრიალდება გოგო.**

**— სახე რა, ნაყიდზე დაგიმატეს? — ეკითხება შემცბარი ჭიჭიკია.**

* * *

**ქუჩაში მიდის საოცრად მოწყენილი კაცი. ცხოვრება ვერაფრით ვერააწყო, სამსახურში პრობლემები აქვს, ოჯახშიც მუდმივი უკმაყოფილებაა!**



**— ცოტა ფული მომეცი და სრულ სიმართლეს გეტყვი შენს მომავალზე, — ბოშა ქალი გადაუდგება წინ.**

**მისცა კაცმა ბოლო კაპიკები.**

**— დღევანდელი დღე შენთვის ბედნიერი იქნება, დღეს აუცილებლად გაგიმართლებს! — ეუბნება ბოშა.**

**— მეტი არაა ჩემი მტერი! — ჩაილაპარაკა კაცმა და გზა განაგრძო. უცებ ხის ძირას დოლარების შეკვრას მოჰკრა თვალი. ხელი დასტაცა და სახლისკენ გაიქცა. შევარდა და აცრემლებული ცოლი სლუკუნებს:**

**— ივან, დედაჩემი გარდაიცვალა!**

**კაცმა ძლივს შეიკავა თავი, შევიდა სააბაზანოში, კარი ჩაკეტა, სარკეში ჩაიხედა და საკუთარ გამოსახულებას თვალი ჩაუკრა:**

**— მართლაც ბედნიერი დღე გამითენდა, ხომ იცი!**

* * *

**— ქალიშვილო, აბა, მითხარით, რა დანიშნულება აქვს საცხოვრებელ სახლებში კიბის უჯრედებს? — ეკითხება პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი სტუდენტს გამოცდაზე.**

**— ბატონო პროფესორო, რა საჭიროა ასეთი ინტიმური კითხვების დასმა?**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com